სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | პარასკევი 21 მაისი 2004 №114 (2133) | ფასი 50 თეთრი

ბასკომ დინამოს მეორედ დაუბიჯა

ფიფამ დაბადების დღე გადაიცადა

საფრანგეთი 0:0 ბრაზილია

იერიშები ძველი იერით

სამწუხარო ტრადიციით, ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩების წინა დღეს ბევრი უსეთურობა ხდება, ამიტომ:

პრევენციული წერილები პროვინციულ MONEYპულაციებზე



ქართული საკლუბო ფეხბურთი ძალიან სუსტია. ქართული საკლუბო ფეხბურთი, ასევე, ძალიან ღარიბია. მდიდარი კაცის გამოჩენა რომელიმე ქართულ კლუბში მას განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს. განსაკუთრებულ ვითარებაში ღირსების შენარჩუნება ძალიან ძნელია, მით უმეტეს, ქართულ ფეხბურთში, რომელიც, ჯობს, ღატაკი იყოს, ვიდრე ფულმა შეჭამოს. ფეხბურთისთვის დიდი ფული აუცილებელია, ოღონდაც, არა იმისთვის, რომ თავად ფეხბურთის, სპორტული შეჯიბრის არსი შეჭამოს, გააუფასუროს და გაათახსიროს. საერთოდ კი, ვარდების რევოლუცია ფეხბურთს მხოლოდ იმით შეეხო, რომ მის მეთაურს ფული გადაახდევინა. სხვანაირად კი, რაც [illegible]ოლო ორი კვირაა ქართულ ფეხბურთში ხდება, ეს არის [illegible]ამაზრზენი, სამარცხვინო, სატირალი და, თუ კარგ[illegible] ხასიათზე ხართ, სასაცი[illegible]ო ამბავი.

თუ ხვალ მოხდა ის, რისიც ხალხს ეშინია, ქართულ ფეხბურთს ნამუსი აეხდება

FIFA 100

პარიზი. პარკ დე პრენსი. ამხანაგური მატჩი

საფრანგეთი 0:0 ბრაზილია

საფრანგეთი: კუპე, ტურამი, ბუმსონგი, დესაი (მენდი 46), გალასი, მაკელელე, ვიეირა, ზიდანი (კაპო 68), პირესი (ვილტორდი 46), ტრეზეგე, ანრი

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

ბრაზილია: დიდა, კაფუ, ლუიზაო, კრისი, ედმილსონი, რობერტო კარლოსი, ჟუნინიო პერნამბუკანო (ბაპტისტა 79), ზე რობერტო (ედუ 46), კაკა (ალექსი 46), რონალდინიო, რონალდო

მწვრთნელი: ალბერტო პარეირა

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო (ესპანეთი)

79 344 მაყურებელი

ფიფას საუკუნოვანმა იუბილემ დიდი ზარ-ზეიმით ჩაიარა. „პარკ დე პრენსზე" შეკრებილმა საზოგადოებამ კი საფრანგეთ — ბრაზილიის ლაღი მატჩიც იხილა და ძველმოდურად შემოსილი რონალდო და დესაი

ინგლისი

II დივიზიონი. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

ბრაიტონი 0:1(1:2, დ.დ. 4:3 პენ) სუინდონი

III დივიზიონი. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

მენსფილდი 1:3(1:3, დ.დ. 5:4 პენ) ნორთჰემპტონი

ბელგია

მეორე კლასი. პლეი ოფი

ტუბიკე 3:2 გეელი

რუზელარე 2:1 ოსტენდე

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. XXXVI ტური

ადმირა 2:1 გრაცერი

აუსტრია 2:0 კერნტენი

პაშინგი 4:0 მატერსბურგი

ზალცბურგი 2:0 რაპიდი

შტურმი 4:1 ბრეგენცი

შვედეთი

ალსვენსკა. გადადებული მატჩები

იორგრიტე 1:0 ტრელებორგი

სუნდსვალი 2:0 ჰამარბი

სუპერეტა. გადადებული მატჩი

ფალკენბერგი 0:2 გაის

თასის III ეტაპი

იორებრო 2:1 მალმიო

ნორჩიოპინგი 3:1 კალმარი

ბრომაპოიკარნა 1:0 იფკ მალმიო

ლარიე ანგერედსი 1:1 (3:1 დ.დ.) ბრაგე

დანია

თასის ფინალი

ოლბორგი 0:1 კოპენჰაგენი

ნორვეგია

ტიპელიგა. VII ტური

ოდ გრენლანდი 3:2 ლილესტრიომი

ტრომსიო 2:1 მიოლდე

სოგნდალი 0:2 ვიკინგი

ჰამ კამი 3:2 ფრედრიკსტადი

ბოდიო გლიმტი 0:0 ლინი

სტაბეკი 2:1 ბრანი

პირველი დივიზიონი. VII ტური

ალესუნდი 6:0 ტრომსდალენი

ჰაუგესუნდი 2:0 ჰიოდი

ჰიონეფოსი 2:1 ვარდ ჰაუგესუნდი

კონგსვინგერი 0:1 რაუფოსი

მოსი 2:4 ბრინი

სკეიდი 2:2 მანდალი

სტარტი 3:0 სანდეფიორდი

სტრომგოდსეტი 3:1 პორს გრენ.

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. IV ტური

ჰიკ 0:0 ჰაკა

ჯაზი 5:1 ჰაამენლინა

ლაჰტი 1:1 კტპ

იარო 1:1 მიუკა

ტპ-47 0:1 ინტერი

ტურკუ 3:1 ალიანსი

ისლანდია

პრემიერდივიზიონი. II ტური

აკრანესი 0:0 გრინდავიკი

ვესტმანაეიარი 1:1 ფრამი

კეფლავიკი 3:1 რეიკიავიკი

ფილკირი — ჰაფნარფიორდური

გადაიდო

ირლანდია

პრემიერლიგა. XII ტური

დუბლინი — შოტერფორდი

გადაიდო

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

მწვრთნელის სიტყვა პრეზიდენტისთვის კანონია

თურქული ფილოსოფიის ლექციას კენგურუც მოისმენს

თურქეთი

თურქეთის ნაკრები გუშინწინ ავსტრალიაში გაემგზავრა. ოსმალოთა მწვრთნელმა ერსუნ იანალმა 28 ფეხბურთელი შეარჩია, რომლებსაც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მოამზადებს.

თურქები დღეს ავსტრალიის ნაკრებს სიდნეიში გაეჯიბრებიან, 24-ში კი მასპინძლებს მელბურნში შეხვდებიან.

ავსტრალიიდან 28 მაისს სამხრეთ კორეაში გადაინაცვლებენ. 2 ივნისს სეულში, ხოლო 5-ში დეგუში კორეელებთან ამხანაგურ მატჩებს გამართავენ და 7-ში სტამბოლში დაბრუნდებიან.

ნაკრებს ავსტრალიაში ვერ გაჰყვნენ ჰამიტ ალტინტოპი („შალკე") და ილდირაი ბაშთურქი („ლევერკუზენი"). ორივე ფეხბურთელი ბუნდესლიგის დასრულების შემდეგ სამხრეთ კორეაში ჩავა.

ოსმალთა თავკაცს ლიეჟის „სტანდარტის" თურქი მოთამაშე ონდერ ტურაჯი მოსწონებია, რომელსაც ორმაგი მოქალაქეობა აქვს. იგი ბელგიისა და თურქეთის ქვეშევრდომია, მაგრამ რაკი ბელგიის ნაკრების მაისური არასოდეს მოურგია, ამიტომ ერსუნ იანალის წინადადება მიიღო და „ვარსკვლავ-მთვარიანებს" ავსტრალიაში გაჰყვა.

ეროვნული გუნდის მწვრთნელად ერსუნ იანალის დანიშვნა თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰალუკ ულუსოიმ დაიჟინა, ახალდანიშნულმა კი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მოსამზადებლად ამხანაგური მატჩები მოითხოვა და პრეზიდენტმაც 20-დღიანი შეკრება გაუხერხა.

ერსუნ იანალის თქმით, იგი ამ შეკრებისას ნაკრების წევრთა ავკარგიანობას შეიტყობს, მათ ახლოს გაიცნობს და შეგირდებს თავის საფეხბურთო ფილოსოფიასაც შეასწავლის.

ვაჟა ხუციშვილი

გიორგი ლომაია: ჯობდა, საერთოდ არ ჩავმდგარიყავი კარში

ვინ იქნება „სპარტაკის" მწვრთნელი მომავალ ტურში?

გუშინწინ გიორგი ლომაიას პრემიერლიგური დებიუტი შედგა. „როსტოვმა" 3:1 მოუგო მოსკოვის „სპარტაკს", რაც დედაქალაქელთათვის ზედიზედ მეხუთე მარცხი გამოდგა და მწვრთნელ ნევიო სკლასაც მალე ალბათ კარისკენ მიუთითებენ. თუმც ჩვენ საჩვენო ვიკითხოთ და გუშინ გიორგი ლომაიას „როსტოვთან" მატჩზე უფრო დაწვრილებით ვესაუბრეთ...



— გიორგი, გილოცავ დებიუტს!

— ეს რა დებიუტი იყო?! მგონი, ჯობდა, საერთოდ არ ჩავმდგარიყავი კარში.

— ასე მაგრად გაჯობეს როსტოველებმა?

— ყოველ შემთხვევაში, მოგება ჩვენთვის წარმოუდგენლად ძნელი იყო. პირველი გოლი გავუშვით და ყველაფერი აირია.

— ალბათ წინა დღეებში იცოდი, რომ ითამაშებდი...

— სკალას ჩემთვის სიტყვა არ უთქვამს. მხოლოდ წინა დღეს, ვარჯიშზე გავიგე, რომ კარში მე ვდგებოდი. თუმცა, ისედაც ვგრძნობდი, რომ ჩემი ჯერი მალე დადგებოდა.

— გაგიჭირდა?

— თავიდან კი. ამდენი ხნის უთამაშებელი ვიყავი და კარი თითქოს მეუცხოვა, თუმცა მერე შევეგუე.

— „სპორტ-ექსპრესში" წერია, მეორე გოლი ლომაიას ბრალი იყოო...

— რას გაიგებ... „სოვეტსკი სპორტში" სხვანაირად წერია. კარიდან რომ გამოვედი, ბურთი დავიჭირე, მაგრამ აკოპიანცმა ხელით ამართვა და გაიტანა. მსაჯს ჯარიმა უნდა დაენიშნა... თუმცა ამას უკვე რა აზრი აქვს, ისედაც წავაგებდით.

— როგორ ფიქრობ, მომავალ ტურშიც ითამაშებ?

— ჯერ საკითხავია, მანამდე სკალა იქნება თუ არა მწვრთნელი. მგონი, მალე მოხსნიან. ამდენ წაგებას აქ არავის პატიობენ და სკალას საკითხიც დღე-დღეზე გადაწყდება.

— როგორც ჩანს, დაცვაში სერიოზული პრობლემები გაქვთ...

— საერთოდ, გუნდი ფსიქოლოგიურად მოშლილია. წინა მატჩებიც ასე წავაგეთ — პირველ გოლს გავუშვებთ და მერე ვინ რას აკეთებს, არავინ იცის.

— ნაკრებში როდის მოდიხარ?

— 23 მაისს თამაში გვაქვს და ალბათ მეორე დღეს წამოვალ.

ქახა ჩალამბერიძე



აბრამიძე სკალას დღეებს უთვლის

მოსკოვის „სპარტაკში" სიტუაცია ისე აირია, დედა შვილს არ აიყვანს. კლუბის ხელმძღვანელთა ცვლილებას უსახური შედეგები დაერთო და ვითარება, რომ იტყვიან, წკიპზეა. ცეცხლზე ნავთი „სპარტაკის" როსტოვში გუშინწინდელმა მარცხმა დაასხა. ამის გათვალისწინებით, რუსეთში უკვე ბევრი უთვლის დღეებს მწვრთნელ ნევიო სკალას.

დაცვის რეზერვში კი მოსკოველებს ჩვენებური ვალერი აბრამიძე ჰყავთ, რომელმაც გუშინ ეს გვითხრა, ჯერჯერობით „სპარტაკში" ძალიან არეულ-დარეული სიტუაციაა. მგონი, სკალასაც მალე გაუშვებენ. მე კი დუბლებში ძველებურად ვვარჯიშობ და სატრანსფერო სეზონის გახსნას ველი. ისე, არაა გამორიცხული, „სპარტაკში" დავრჩეო.

ვფიქრობთ, აბრამიძის ნათქვამში დაუჯერებელი არაფერია. მით უმეტეს, ქართველი მცველის მოძულე ხელმძღვანელებმა კლუბი უკვე გაყიდეს და ჩვენებურსაც სულ სხვა ხალხთან აქვს ურთიერთობა.

— „სპარტაკის" ახალ თავკაცებს უკვე შევხვდი. აქეთურ-იქითურზე ვისაუბრეთ და საკმაოდაც დამაიმედეს. ასე რომ, როგორც კი პრემიერლიგაში შესვენება დაიწყება, მაშინვე გავარკვევ ჩემს მომავალს. „სპარტაკში" დარჩენის შანსები კი გამეზარდა, მაგრამ ნაჩქარევად დასკვნის გაკეთება არ მინდა — გვითხრა გუშინ აბრამიძემ.

ქახა ჩალამბერიძე

თენგიზ კობიაშვილი შვიდი თვის წინ ბოლნისის „სიონთან" მატჩში დაშავდა, „ვიტ ჯორჯიას" კი წლეულს, 25 აპრილს, ისევ ბოლნისურ მატჩში დაუბრუნდა. მაშინ ვეტერინართა საჩემპიონო შანსები მოკრძალებულად ჩანდა, თუმც დღეს სულ სხვა ვითარებაა — ხვალინდელ მატჩში „ლოკომოტივის" დამარცხება და სანუკვარი ოცნებაც ხელის გაწვდენაზე იქნება.

კობიაშვილის გამოჩენით „ვიტ ჯორჯიას" დაცვა კიდევ უფრო შეიკრა და გაუვალი გახდა. საჩემპიონო შანსებსა და „ლოკომოტივთან" გადამწყვეტ მატჩზე სასაუბროდ თენგიზ კობიაშვილი რედაქციაში ვიწვიეთ.

გზას თუ დაგვიგრძელებენ, რაკეტებს გამოვიყენებთ

— შვიდი თვე უფეხბურთოდ, საკმაოდ დიდი დროა. არ გაგიჭირდა ფორმის აღდგენა და გუნდთან მორგება?

— არანაირი პრობლემა არ მქონია, რადგან დიდი ხანია, ამ გუნდში ვარ, ვიცი თითოეული თანაგუნდელის შესაძლებლობა და თამაშის მანერა.

— ამბობენ, ძნელია, ტრიბუნიდან შენიანების თამაშს რომ უყურებო...

— მაგ პერიოდს ნუღარ გამახსენებ. მართლაც ძალიან ძნელია, როცა ერთი სული გაქვს, მოედანზე შევარდე და თანაგუნდელებს დაეხმარო. ტრავმა რომ მოვიშუშე, ზედმეტი წონისა და უთამაშებლობის პრობლემა აღარ მაინტერესებდა — ოღონდაც მეთამაშა.

— ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დაგრჩათ...

— წინა ორ სეზონში ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე პირველ ადგილზე ვიყავით და ბოლოს რაღაც გვემართებოდა, ჩემპიონი სხვა ხდებოდა. ახლა კი ერთი ტურით ადრე ყველაზე კარგი შანსი გვაქვს. ალბათ ძველ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ.

— ბევრი ლაპარაკია, რომ შესაძლოა თქვენს გაჩემპიონებას სხვა ფაქტორებმაც შეუშალოს ხელი...

— თუ მოინდომეს და ამაზე თავი გადადეს, ყველაფერი შესაძლებელია. თუმცა არა მგონია, ასეთი მტრები გვყავდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ და „ლოკომოტივთან" მხოლოდ მოსაგებად გავალთ.

— ცხადია, იოლი მატჩი არ გელით...

— დარწმუნებული ვარ, რომ დიდი ომი გველის. თანაც, შესაძლოა, „ლოკომოტივის" ფეხბურთელები მატერიალურად წაახალისონ, რაც თანამედროვე ფეხბურთში ჩვეულებრივი მოვლენაა, სეზონის ბოლო მატჩია, მეტოქესაც ბევრი აქვს დასამტკიცებელი. დიდი სიფრთხილე და მონდომება გვმართებს.

— დისკვალიფიცირებული იმედაშვილის სახით საკმაოდ დიდი ძალა დაგაკლდებათ...

— იმედაშვილი ჩვენთვის დიდი ძალაა, მაგრამ როდესაც სეზონის გადამწყვეტი მატჩია, ძირითადის ექვსი მოთამაშეც რომ დაგვაკლდეს, მაინც ვალდებულები ვართ, მოვიგოთ. ბოლოს და ბოლოს, სამი მცველით თამაშიც შეიძლება.

— წლეულს „დინამო" ორჯერ დაამარცხეთ. ალბათ ამაში „დინამოდან" წამყვანი მოთამაშეების წასვლამაც შეგიწყოთ ხელი...

— გოგობერიშვილის არყოფნა „დინამოს" შუა ხაზს მაგრად დაეტყო. საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდები ეზრდებათ, მაგრამ მათ ჯერ გამოცდილება აკლიათ. როგორც მცველს, ბევრად მერჩივნა ალექსიძის, დარასელიას ან გოგობერიშვილის წინააღმდეგ თამაში. ეს ჩემთვისაც ერთგვარი გამოწვევაა. „ვიტ ჯორჯია" ნელ-ნელა ამზადებდა ძირითადისთვის მარცვალაძეს და გოცირიძეს.

— მწვრთნელთა ხშირი ცვლა გუნდებზე, როგორც წესი, უარყოფითად მოქმედებს, თქვენთან კი პირიქით მოხდა...

— ამის ასახსნელად ბევრი ფაქტორის ჩამოთვლა შეიძლება. პირველი და უმთავრესი მაინც ისაა, რომ სწორედ მერაბ კოჭლაშვილის მოსვლისას დაიწყო „ვიტ ჯორჯიას" საერთო აღმასვლა. მერე მეც ხომ დავბრუნდი?! ხუმრობა იქით იყოს და, კოჭლაშვილმა ფეხბურთი კარგად იცის. „დინამოსთანაც" ხომ ტაქტიკით მოვიგეთ. სამი ფორვარდით თამაში მეტოქისთვის დიდი სიურპრიზი იყო.

— თუმც, თქვენს გუნდს ხშირად დაცვითი ფეხბურთის გამო საყვედურობენ...

— 4-5 წელია, ჩვენ ფაქტობრივად, ერთ გუნდად მოვდივართ. ამ ხნის მანძილზე შედეგზე თამაშიც ვისწავლეთ. მირჩევნია, მეტოქე 90 წუთი შეტევაში იყოს, მაგრამ ჩვენ მოვიგოთ. ვინ დასძრახავს „ვიტ ჯორჯიას" იმისთვის, რომ „დინამოსთან" 3:0 მოგებული პირველი ტაიმის შემდეგ დაცვითი ფეხბურთი ითამაშა?! ჩვენი საქმე გაკეთებული გვქონდა. ნეტავ „ლოკომოტივთანაც" ერთი გოლი შეგვაგდებინა და მერე სასურველ ანგარიშს როგორ შევინარჩუნებთ, არც მაინტერესებს.

— „ვიტ ჯორჯიას" ცუდი და კარგი თამაშები გაიხსენე...

— „თბილისთან" მატჩში ჩვენს თავს არ ვგავდით, არაფერი გამოგვდიოდა. რაც შეეხება საუკეთესოს, ალბათ ნებისმიერი მოგებული თამაში საუკეთესოა.

— შენი აზრით, ოღონდ ობიექტურად: ჩემპიონობას ყველაზე მეტად „ვიტ ჯორჯია" იმსახურებს?

— ყველაზე ღირსეული ჩემპიონები ჩვენ ვიქნებით. „დინამოს" ვაფასებ, მაგრამ მათზე მეტად ჩვენ ვიმსახურებთ ოქროს.

— უეფას თასის საგზური, ფაქტობრივად, განაღდებული გაქვთ, მზადაა „ვიტ ჯორჯია", ევროპაში თავი არ შეირცხვინოს?

— მგონი, საქართველოს სახელი „ვიტ ჯორჯიას" ევროპაში არ შეურცხვენია. ერთი „ტრუასთან" დაგვიცდა ფეხი, თუმცა მანამდე ავსტრიული „რიდი" გამოვთიშეთ „ინტერტოტოს". დალხენილი ქვეყნის გუნდს რომ მოუგებ, არაა პატარა საქმე, „პაშინგთანაც" კარგი შანსი გვქონდა, მაგრამ არ გაგვიმართლა. მერე ამ გუნდმა „ვერდერიც" კი გამოაგდო. ასე რომ, ევროპაში თავი არ უნდა შევირცხვინოთ.

— „სიონთან" გადათამაშებაზეც თუ ფიქრობ?

— რატომაც არა?! ჩემპიონები გავხდეთ და არც გზის დაგრძელებაზე ვიტყვით უარს. იმედია, თამაში ნეიტრალურ და დიდ მოედანზე იქნება. ჩვენი კოზირი — ორი რაკეტასავით ფორვარდი ხომ სწორედ დიდ მოედანზე ჭრის.

დავით ერაძე

12-წლიანი შესვენების შემდეგ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში „ქობულეთი" ითამაშებს, ეს კი მხოლოდ სამი დღის წინ, თბილისის „დინამო 2"-თან მატჩში (1:1) გადაწყდა, ქობულეთელებმა მეტოქეს სწორედ საუმაღლესლიგო ქულა აართვეს. რა ხდება „ქობულეთში"? რას აპირებენ მომავალ სეზონში? როგორ ყოფაშია მომავალი დებიუტანტი? ამ და სხვა კითხვებზე გუშინ კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ გოგიტიძემ გვიპასუხა

მოსული დარჩენაზე ფიქრობს

ქობულეთში ბევრ რამეზე ლაპარაკობენ, ოღონდ ერთზე არა

— დიდი ხნის ოცნება აგვიხდა. ხუთი წელია, „ქობულეთს" ვპატრონობთ და ჩვენმა მუშაობამ შედეგი ახლა გამოიღო. ყველანი კმაყოფილები ვართ.

— პირველი ლიგის გუნდების უმეტესობას ფინანსურად უჭირს. მაგალითად, შარშან ზუგდიდის „ლაზიკამ" უმაღლესი ლიგის საგზური გაასხვისა. „ქობულეთში" როგორაა ამ მხრივ საქმე?

— თითქმის არანაირი პრობლემა არ გვაწუხებს. ჩვენი სპონსორი ნავთობის ტერმინალია, სადაც კლუბის პრეზიდენტი გურამ გოგიტიძე ტექნიკურ დირექტორად წლების მანძილზე მუშაობდა. ასე რომ, ამ მხრივ არაფერს ვუჩივით. ცხადია, მომავალი სეზონიდან პირობები კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

— ცოტა ხნის წინ გავრცელდა ხმები, „ქობულეთს" უმაღლეს ლიგაში გადასვლა არ უნდა და ალბათ „ლაზიკას" ბედს გაიზიარებსო...

— სიცრუეა. მსგავსი არაფერი მოხდება. ხუთი წელია, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად ვიბრძვით და ძლივს მივაღწიეთ მიზანს. ამ თემაზე ლაპარაკიც არ მსურს.

— ქართული ფეხბურთის ქომაგს კარგად ახსოვს ერთწლიანი გუნდების ისტორიებიც...

— ყველანაირად ვეცდებით, „ქობულეთს" მსგავსი არ დაემართოს.

— უმაღლეს ლიგაში რისთვის იბრძოლებთ?

— ალბათ, ადგილის შენარჩუნებისთვის. არ გვინდა, თავი სასაცილო სიტუაციაში ჩავიგდოთ და უაზრო ოცნებებს ავყვეთ. ჯერ ლიგაში ფეხი უნდა მოვიკიდოთ. 12 წელია, ქობულეთს უმაღლესში გუნდი არ ჰყოლია. ახლა ეს შევძელით და იოლად არაფერს დავთმობთ.

— აჭარაში ბოლოხანს მომხდარ ამბებს რამე ხომ არ შეუცვლია გუნდში?

— ყველაფერი ისეა, როგორც ადრე იყო. ჩვენ სუფთა ხალხი ვართ.

— მომავალი სეზონის გეგმებზეც ხომ არ გიფიქრიათ?

— ჯერ არა. პრეზიდენტმა გვთხოვა, პირველი ლიგა პირველ ადგილზე დავასრულოთო და ახლა დარჩენილ ორ ტურზე ვფიქრობთ. შეკრებები და სხვა საკითხები კი პრობლემა არ იქნება. ამასაც მოვუვლით.

— ვიცით, ქობულეთის სტადიონს რეკონსტრუქცია ჩაუტარეთ...

— ხუთი წლის წინ, სანამ ჩვენ გუნდში მოვიდოდით, ყველაფერი დანგრეული იყო. თამაშისას „ქობულეთს" გოლი რომ გაეტანა და კაცს გახარებოდა, ალბათ ტრიბუნა ჩაინგრეოდა. თითქმის ყველაფერი გაპარტახებული დაგვხვდა, მაგრამ ახლა საქმე სხვაგვარადაა: სტადიონი გავარემონტეთ, ტრიბუნებზე ინდივიდუალური სკამები დავამონტაჟეთ, მინდვრის საფარი გამოვცვალეთ, დრენაჟი გავაკეთეთ...

ასე, რომ, უმაღლესი ლიგისთვის მზად ვართ.

კახა შალამბერიძე

„ქობულეთი" უმაღლესში ავთანდილ გორგილაძემ გადაიყვანა

ვიცეები პარიზში

გუშინ პარიზში ფიფას მორიგი კონგრესი დაიწყო და მას ქართული დელეგაციაც დაესწრება — პარიზში არიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები, ალექსანდრე ჩივაძე და რევაზ არველაძე.

თუმც ფიფა პარიზში მხოლოდ კონგრესის ჩასატარებლად როდი მოცდება — ეს ორგნიზაცია საუკუნოვან იუბილესაც ზეიმობს და ამასთან დაკავშირებით წუხელ ამხანაგური მატჩიც გაიმართა საფრანგეთისა და ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებებს შორის — თამაშს არველაძე და ჩივაძეც დაესწრნენ.

კონგრესი დღესაც გაგრძელდება, ქართულ დელეგაციას კი რაიმე საგანგებო, საქმიანი შეხვედრა დაგეგმილი არ აქვს.

პრევენციული წერილები

პროვინციულ MONEYპულაციებზე

ფეხბურთი ძალიან გაბაზრდა



განვითარებად თუ პროვინცია-ქვეყნებში არაფერი იმალება, ადრე თუ გვიან ყველაფერი სკდება, რადგან ასეთ სახელმწიფოებში საიდუმლოს შენახვის კულტურაც დაბალია.

ხვალ მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატი მთავრდება, ბოლო ტურია და ზეექვსეულის სამი თამაშის წინ რას არ გაიგებს კაცი.

არის რამდენიმე ვერსია იმის შესახებ, ამ სამ შეხვედრაში რა როგორ მოხდება, ვინ ვის რა თანხას მისცემს და ვინ რომელ ადგილზე გავა. მაგრამ სანამ სამივე თამაში არ ჩამთავრდება და მერე რამდენიმე დღე არ გავა, ძალიან ძნელია, რომელიმე ვერსიის სისწორე დაიჟინო — ასე იყო წინა ჩემპიონატებშიც, როცა ჩაწყობილი თამაშების სრული ისტორია მატჩიდან რამდენიმე დღეში ხდებოდა პირუთვნელად ცნობილი ქართულ ფეხბურთში მოტრიალე საზოგადოებისთვის.

მაგრამ ამ სეზონში ბევრი ისეთიც მოხდა, ადრე რომ არ მომხდარა — თუნდაც ორი კლუბის მესვეურთა ერთობლივი პრესკონფერენცია რად ღირს.

ჰოდა, როგორც უნდა იყოს, ნილბის ჩამოხსნის ეტაპი უკვე განვლილია, ახლა წინ ბოლო ტურია, ვაბანკია, ღია თამაშია, რბოლაა და ვნახოთ, ვინ ვის შეჭამს.

„შეჭმას“ მხოლოდ გასტრონომიულად ნუ შეხედავთ, რადგან გარიგების დროს ორივე მხარე კმაყოფილია, აქ უფრო კოროზიულ შეჭმაზეა საქმე — ფეხბურთს იმ ლითონებს უჭამენ, რითაც ის ძლიერია — ნაღდი ბრძოლა, მოულოდნელობის ფაქტორი და გულშემატკივარი, ვინც ფეხბურთის სანახავად მიდის სტადიონზე და არა მაიმუნობის.

არადა, საქართველოს ჩემპიონატში მართლაცაა რამდენიმე შეძლებული გუნდი, რომელთა შორის წმინდა სპორტულად დიდი სხვაობა სულაც არაა და ამიტომაც გახშირდა დაძაბული, საინტერესო თამაშები — საქართველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა თითქოს თავისი კალაპოტი იპოვა, მაგრამ ფული, ბიზნესპარტნიორობა და უნამუსობა მას შმაგად ებრძვის და, ვინძლო, ხვალ დაამარცხოს კიდეც.

გულდასაწყვეტია, რომ ჩვენი ცხოვრების ნაწილი — თბილისის „დინამო“ სამი წლის წინ ძალიან შეძლებულმა კაცმა კი იყიდა, მაგრამ ასეთ გუნდს ევროსარბიელზე ჯერაც არაფრის მიღწევა არ შეუძლია, ეროვნულ ჩემპიონატშიც ჯახირობს და ათასი მითქმა-მოთქმის საბაბს იძლევა.

გულდასაწყვეტია, როცა ცნობილი ოლიგარქი ერთ-ერთი კლუბის მესვეურს სთხოვს, ჩემი გუნდის კომპრომიტირებას შეეშვით და სანაცვლოდ ბიზნესპარტნიორობას გთავაზობთო.

გულდასაწყვეტია, რომ საქართველოში თავისუფალი ჟურნალისტიკა ჯერაც ზოგადი ცნებაა და როცა საქმე საქმეზეა, საჭირბოროტო საკითხი ყველასთვის საჭირბოროტო არაა.

გულდასაწყვეტია, რომ ჩემპიონობის შემძლე გუნდი ჩემპიონობაზე, ფაქტობრივად, უარს ამბობს.

გულდასაწყვეტია, რომ ერთი კლუბი მეორე კლუბის გუნდის ფეხბურთელებს ჩუმად პრემიას სთავაზობს.

ბოლოს და ბოლოს, გულდასაწყვეტი ამბები სხვაგანაც ხდება. ბერნარ ტაპიმ მარსელის „ოლიმპიკს“ 1993 წელს ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა, მაგრამ მომდევნო წელს ციხეში ჩასვეს, რადგან 1993 წლის ჩემპიონთა თასის ფინალის წინ „ოლიმპიკს“ საფრანგეთის ჩემპიონატში „ვალანსიენთან“ ჰქონდა მატჩი, „ოლიმპიკმა“ საამატჩოდ წამყვანი ფეხბურთელები დაასვენა, მაგრამ მოგება უნდოდა და „ვალანსიენთან“ ჩაწყობით მოიგო. ამბავი მოგვიანებით გასკდა, „ოლიმპიკის“ ფეხბურთელმა ჟანჟაკ ეიდელიმ სასამართლოზე ყველაფერი დაფქვა და კლუბის ქარიზმატული პრეზიდენტი ტაპიც ვირის აბანოში ჩააყუდეს. როცა ტაპი ციხიდან გამოვიდა, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, ეიდელი სულელია და შესაბამისად მოიქცაო.

ყველაფერი ეს ძველი ამბავია და ასეთი ამბავი საქართველოში კარგა ხანს არ მოხდება, მაგრამ ჩვენში ახლა პირიქით, ოლიგარქზე ამბობენ...

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო ჩემპიონი გახდება



კობა ინასარიძე

ჩემპიონი მაინც „დინამო“ გახდება! — ეს კვირაა, ქართულ ფეხბურთში, უფრო სწორად, ჩემპიონატის სამზარეულოში მეტ-ნაკლებად ჩახედული კაცი ხშირად ისმენს ამ ან ამის მსგავს ფრაზებს.

ვიკითხოთ: ვის და რატომ სჯერა ასე ძლიერ „დინამოს“ ჩემპიონობისა? თბილისელებს ხომ ბოლო, ხვალინდელი ტურის წინ პირველობის შენარჩუნების მცირე შანსიღა აქვთ შერჩენილი და მათი ჩემპიონობის ამბავი მეტწილად სხვებზეა დამოკიდებული.

კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო, ნათქვამია. თბილისის „დინამო“ ჩვენს ჩემპიონატში ყველაზე შეძლებული, მდიდარი კლუბია და ისიც ყველამ კარგად იცის, მისმა პატრონმა რომ მოიწადინოს, „დინამოს“ კი არა, ჩემპიონატის მონანილე დანარჩენ ყველა კლუბსაც უპრობლემოდ შეინახავს.

ბოლო ტურის წინ „დინამოს“ ჩემპიონობისთვის ორი კონკურენტი ჰყავს: „ვიტ ჯორჯია“, რომელიც „ლოკომოტივს“ ეთამაშება და „სიონი“, რომელიც იმ „თბილისს“ სტუმრობს, რომელიც ჯერ სკანდალურად წაეკიდა „დინამოს“, მერე კი მოულოდნელად და ასევე სკანდალურად დაუძმაკაცდა. არითმეტიკას ნუ მოვყვებით და მარტივად ვთქვათ: თუ „დინამომ“ გორში მოიგო, „ვიტ ჯორჯიამ“ და „სიონმა“ კი ვერ მოიგეს, ჩემპიონი „დინამოა.“

ახლა მთავარი: რევოლუციის შემდეგ „ლოკომოტივს“ ისე გაუჭირდა, ნახევარი გუნდი დაითხოვა, ხოლო ვინც დარჩა, განახევრებულ ხელფასსღა იღებს. რევოლუციის შემდეგ კრიზისშია ბოლნისის „სიონიც“. ფეხბურთელები ფულზე წუწუნებენ და ამბობენ, პირი გვიტეხესო. ამბობენ კი არა, ეს „სიონის“ ერთ-ერთმა ნამყვანმა ფეხბურთელმა „სარბიელს“ თავად უთხრა. „დინამოს“ მეტოქე გორის „დილა“ კი ექვსეულში მოხვედრის შემდეგ ისეა დაუძლურებული, აქამდე მოუგებელმა ლამის კინკილა გოლით ჩაამთავროს ჩემპიონატი.

ჰოდა, აკი ირონიითაც იღიმის ბევრი, გაუჭირდება „დინამოს“ ზემოჩამოთვლილ კლუბებთან „საქმიან-მეგობრული“ ურთიერთობების დამყარება? არ გაუჭირდება! მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს. გაჭირვება გაჭირვებად და, ღირსების გრძნობა ღარიბსაც უნდა ჰქონდეს.

ყველაზე ცუდი კი ისაა, ჩემპიონატი, როგორც იქნა, ჩემპიონატს რომ დაემსგავსა, ორ-სამ გუნდს მდიდარი პატრონი რომ გამოუჩნდა და ბედისა და ზნის უკუღმართობით მაინც ყიდვა-გაყიდვაზე, მორიგება-გარიგებაზე გვიხდება ლაპარაკი.

ბოლოს კი ერთი გულწრფელი, მაგრამ, ვაი რომ, გულუბრყვილო თხოვნა ფულიან, გინდ უფულო გუნდებს, მათ ხელმძღვანელებს, ფეხბურთელებს: თუ თქვენთვის ჯერაც რაღაცას ნიშნავს ეს ჩვენი ბოლო ხანს ცოტა მოცოცხლებული ფეხბურთი, ნუ ივაჭრებთ მისით! ნუ გააფითრებთ ამ ჩვენს ძლივს მოფერიანებულ ეროვნულ ჩემპიონატს და მთლად ნუ გაუმწვანებთ იერს. სტადიონისკენ მიბრუნებულ ქომაგს ნუ დაუკარგავთ ფეხბურთის ცქერის სურვილს, თორემ...

პაატა კვანტალიანი

ვის აქვს ჩვენზე მეტი რესტორანი? ან სად არის იმაზე მეტი ბენზინგასამართი სადგური, თბილისში რომაა? რესტორანი, „კალონკა“ — ძირითადად ამისკენ არის მიმართული ქართველ ბიზნესმენთა მენტალიტეტი, თუმც ბოლო დროს ჩვენი ბიზნესმენების თვალსაწიერი

ლამაზფასადიან შენობებს გასცდა და ფეხბურთსაც გადასწვდა. არასდროს უტრიალია ქართულ ფეხბურთში იმდენ ფულს, ამ სეზონში რომ იტრიალა. ერთი შეხედვით, ამას რა სჯობს, ფეხბურთში ფულიანი, შორსმჭვრეტელი ხალხი მოვიდა. აშენდა სტადიონი, გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მწვრთნელ ფეხბურთელებს ჩინებული ხელფასი-პრემიები გაუჩნდათ და, რაც მთავარია, ფული თავად ფეხბურთის ხარისხსაც დაეტყო — ტურში ერთი-ორი შესახედი თამაში ხშირად იყო, ინტრიგა კი ყოველთვის. ასეთ დროს გვინდა რომ ვთქვათ, ქართულ ფეხბურთს ეშველება, ნელ-ნელა მოღონიერდება, ფეხზე დადგება ჩვენი ჩემპიონატი და სხვებიც ისურვებენ საფეხბურთო ბიზნესში ფულის დაბანდებსო. აი, ეს გვინდა, რომ ვთქვათ, გვინდა სწორედ ასე გვქონდეს საქმე, მაგრამ არ გვაქვს და ვერ ვამბობთ.

ჩვენს ირგვლივ ისეთი რაღაცეები ხდება, რომ გინდა, არ გინდა, ფაქტებს სხვა დასკვნამდე მივყავართ. ქართული ფეხბურთი ბაზრობად იქცა — ასეთია მწარე სინამდვილე და ამის გამო ვერ ვამბობთ სიხარულით და მოლოდინით, რომ ხვალ ჩემპიონატის ბოლო ტურია, რომ ერთბაშად სამ გუნდს აქვს ჩემპიონობის შანსი და არასდროს გვქონია ასეთი დაძაბული და დრამატული საჩემპიონატო ფინალი. ვერ ვამბობთ იმიტომ, რომ არ ვიცით, ვის ვინ ჰყავს „გამაზული“, ვის რა სპექტაკლი აქვს დადგმული. ვერ ვამბობთ იმიტომ, რომ ხალხი, რიგითი ქომაგი ვერავინ დაუჯერა იმაში, რომ არავის არავინ „გაუმაზია“ და არავინ თამაშობს ჩაწყობილ ფარსს.

ადგება ერთხელაც ხალხი და იტყვის

მე ძაკვედი

და ალარ მოვა სტადიონზე

ხვალ საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურია და თითქოს უნდა გვიხაროდეს, რომ ჩემპიონობის შანსი ერთბაშად სამ კლუბს აქვს. უნდა გვიხაროდეს, მაგრამ არ გვიხარია, რაკი ეს ინტრიგა ქართული კლუბების უდავო გაძლიერებით არ არის განპირობებული. გავლენ პრიზიორები ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპებზე და ისევ ის დაემართებათ, რაც აქამდე ემართებოდათ.

საქართველოს ჩემპიონატში, ეგებ ვინმესთვის უმნიშვნელო, მაგრამ გულშემატკივრის საზომით დიდი ფულიც დატრიალდა. ერთი შეხედვით, ესეც უნდა გვიხაროდეს, რაკი დღევანდელი ფეხბურთი უფულოდ ფეხბურთი აღარაა. მაგრამ არც ეს გვიხარია, რაკი ეს დიდი ფული გუნდების გაძლიერებისა თუ ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ნაცვლად თამაშების ჩაწყობას ხმარდება. საბოლოო ჯამში კი თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი.

ხვალ ბოლო ტურია და რა ხანია, ლაპარაკობენ, ვინ ვის და ვის სასარგებლოდ რას მისცემს. ეგებ არავინ არავისაც არ მისცეს, მაგრამ თავად ეს ლაპარაკი არის საგანგაშო, რაკი ვიცით, რომ ასეთ თემებზე ჰარი-ჰარალეზე თითქმის არავინ და არასდროს ლაპარაკობს.

ჰოდა, ვთქვათ, რომ ჩვენი ჩემპიონატი ყველაზე მეძავური ჩემპიონატია მსოფლიოში. მერე კი, ევროპასებზე რომ გავალთ, იქაურ მეტოქეებს ალალად დავნებდეთ.

უეფას თასი 2003-2004. ფინალი

ვალენსია 2:0 მარსელი

გიოტებორგი. ულევი

1:0 ვისენტე (45 პენ.), 2:0 მისტა (58)

ვალენსია: კანისარესი, ტორესი, აიალა, მარჩენა (პელეგრინო 84), კარბონი, რუფეტე (აიმარი 64), ალბელდა, ბარახა, ვისენტე, ანგულო (სისოკო 82), მისტა
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
მარსელი: ბარტეზი, ფერეირა, ბეიე, ჰემდანი, მეიტე, დოს სანტოსი, მარლე, ფლამინი (ბატლე 71), ნდიაიე (სელესტინი 84), მერიემი (გავანონი 45), დროგბა
მწვრთნელი: ჟოზე ანიგო
გაფრთხილება: მარლე, დროგბა, ვისენტე, კარბონი
გაძევება: ბარტეზი (45)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
43 000 მაყურებელი

მისტიკური წიგნის ძალა

რა აჩუქა პაკო აიესტარანმა მისტას შარშან ზაფხულს? მოგებული ფინალის შემდეგ ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ორი რამ გავითვალისწინოთ. აიესტარანი „ვალენსიას“ ექიმია, მისტა კი წლევანდელი უეფას თასის ფინალის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. პაკომ მისტას წიგნი უფეშქაშა, რომელიც ფეხბურთელს სწორად დასვენებასა და ძალების აღდგენას ასწავლის. „ვალენსიას“ ყმაწვილმა ფორვარდმა წიგნის გადაფურცვლა ისწავლა, შრომა არ დაიზარა და ინებეთ შედეგიც. შარშან უცნობი ბიჭი ერთ სეზონში „მესტალიის“ ჯილა გახდა. გიოტებორგში კი პენალტიც მოინაგრა, ბარტეზიც გააგდებინა და გოლიც გაიტანა

რაფაელ ბენიტესი

პირველ ტაიმში საკმაოდ გაგვიჭირდა, რადგან „მარსელმა“ მძლავრად შემოგვიტია, თან ძლიერი ქარიც უბერავდა, რომელიც ჩვენს შეტევებს აფერხებდა. თუმც მეორე ნახევარში მეტოქეზე შესამჩნევ უპირატესობას მივაღწიეთ. „ვალენსიამ“ სეზონი რთულად დაიწყო, არავის ეგონა, გუნდი ასე შორს თუ წავიდოდა, მაგრამ ჩემი ფეხბურთელების პროფესიონალიზმა და საერთოდ, კლუბის ყველა წევრის მონდომებამ, დიდი გამარჯვებები მოგვიტანა. ახლა პრიმერას ჩემპიონობაც ჩვენია და უეფას თასიც. თუმცა ეს ორი ტიტული ზღვარი არ არის და „ვალენსიაც“ მხოლოდ ამჟამინდელ მიღწევებზე არ შეჩერდება.

ხაიმე ორტი

„ვალენსიას“ პრეზიდენტი

„ვალენსიას“ ისტორიაში ყველაზე საუკეთესო სეზონი ჩავატარეთ. უეფას თასზე გამარჯვებას ფანტასტიკურად აღვნიშნავთ, ისე, რომ ცხოვრებაში ყველას დაამახსოვრდეს. ულრმეს მადლობას ვუხდი ფეხბურთელებს, რომელთაც 2003-2004 წლების სეზონი ძლევამოსილად ჩაამთავრეს. სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვარ და მინდა, ყველა ჩვენს გულშემატკივარს დიდი მატჩის მოგება მივულოცო.

ჟოზე ანიგო

შესვენებამდე რამდენიმე კარგი საგოლე მომენტი გვქონდა, ბარტეზის გაძევებამ კი ყველაფერი ყირამალა დააყენა. არავინ იცის, ვის სასარგებლოდ დასრულდებოდა მატჩი, მეკარე რომ არ გაეგდოთ. შესვენებისას ფეხბურთელების „დაქოქვა“ ვცადე, მაგრამ ისინი ძალიან დათრგუნვილები იყვნენ, რის გამოც მეორე ტაიმში ველარ იბრძოლეს. ფაბიენი ვერცხლისწყალივით მოძრავი და მოუსვენარი კაცია. ბევრი დიდი ჯილდო მოუგია კარიერაში და შეცდომებისგანაც არაა დაზღვეული. როცა ასეთი დონის კაცი გამოგაკლდება, ძნელია, გუნდი გამარჯვებისთვის მომართო. ახლა ბავშვებივით არ ავზლუქუნდებით. არსებობს ფეხბურთის წეს-კანონები, კოლინამ კი ამ კანონის მიხედვით იმოქმედა. არავისზე ნაწყენი არ ვარ. ოთხი თვეა, რაც „მარსელში“ ვმუშაობ და ფინალში თამაში ჩემთვის უკვე წარმატებაა. მართალია, საბოლოოდ დავმარცხდით, მაგრამ ვფიქრობ, გუნდმა ამ ტურნირში ღირსეულად ითამაშა.

კრისტოფ ბუშე

„მარსელის“ პრეზიდენტი

პიერლუიჯი კოლინამ ბარტეზის გაძევებით ჩემი გუნდი მოკლა. ეს წითელი ბარათი კი არა, ტყვია იყო. თვით უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონიც გაოცდა. კოლინა მატჩამდე ყველა ესპანელ მოთამაშეს კარგი ძმაკაცივით შეხვდა. ფრანგების წინააღმდეგ ესპანელების სასარგებლოდ მოქმედებაში იგი არაერთხელ შევამჩნიე.

ფაბიენ ბარტეზი: რას გადამეკიდა ეს კაცი?!

პენალტი იყო, მაგრამ წითელ ბარათს არ ვიმსახურებდი. კოლინამ ფინალი წაახდინა. მისტამ ბურთზე დამასწრო, მსაჯი კი ვითარების შეფასებისას შეცდა. სამწუხაროა, რომ გუნდს დავაკლდი, რადგან პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ. ასატანია მარცხი, როცა თანაბარ ბრძოლაში აგებ, მაგრამ ასეთ წაგებას მე ვერ შევეგუები. ახლა მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, სამომავლოდ მოვემზადოთ. აქვე უნდა გავიხსენო, რომ ევრო-2000-ზე ესპანეთთან მატჩში კოლინამ ჩემს კარში ორი გამოგონილი პენალტი დანიშნა. არ ვიცი, რატომ გადამეკიდა ეს კაცი. რამე ხომ არ დამიშავებია მისთვის?



დარწმუნებული ვარ, მთელი ესპანეთი ზეიმობს ახლა ჩვენს გამარჯვებას. 14 წლის წინ ამავე სტადიონზე „სამპდორიას“ შემადგენლობაში თასების თასი მოვიგე და დღეს აქ მოპოვებულ უეფას თასს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჩემთვის „ვალენსია“ მშობლიური საფლავივითაა. ადრე ფიქრობდნენ, რომ ესპანეთში მხოლოდ ფულის საკეთებლად ჩავედი. თითქოს ბუნებრივიცაა, 32 წლის ვიყავი, „ვალენსიაში“ თამაში რომ დავიწყე, თუმცა მე ფულხარბების კატეგორიას არ მივეკუთვნები, ევროებზე მეტად კლუბის წარმატება მაინტერესებს.

უხუცესი ამადეო

ამადეო კარბონი ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელია მათ შორის, ვისაც ევროთასი მოუგია. 39 წლის და 43 დღის იტალიელს ევროპულ სარბიელზე 100 მატჩიც მოუგროვდა. მან მადრიდის „რეალის“ მეკარის მიგელ ანხელის რეკორდი დაამხო. ანხელი 37 წლის და 149 დღის იყო, უეფას თასი რომ აღმართა

ჯამელ მერიემი

გულსატკენი მარცხია, რადგან უთანასწორო მატჩში წავაგეთ. ფინალში ხომ ყოველდღე ვერ ითამაშებ. ყოველ შემთხვევაში, ბარტეზის გაძევებამდე „ვალენსიას“ თანაბრად ვებრძოლეთ.

ბრაჰიმ ჰემდანი

სანამ მეკარეს გაგვიგებდნენ, ყველაფერი რიგზე იყო. მეტოქეს თამაშში ვჯობნიდით, მაგრამ მსაჯის გადაწყვეტილებამ აგვრია. კოლინამ წესის მიხედვით იმოქმედა, თუმც ვფიქრობ, რომ მაინც უსამართლოდ დავიჩაგრეთ.

მისტა

ამ ორი ჯილდოს მოგებით ოცნება ამისრულდა. დაუვიწყარი წელი იყო. ახლა მხოლოდ სიხარული და ამ დღესასწაულის აღნიშვნა მინდა. სხვაზე არაფერზე არ ვფიქრობ. ვისურვებდი, ჩემი და გუნდის საქმეები მომავალშიც ასეთი წარმატებით გაგრძელებულიყოს. უეფას ღირსეული ჩემპიონი ჰყავს, თასი „ვალენსიას“ ყველა სხვა გუნდზე მეტად ეკუთვნოდა.

რუბენ ბარახა

ბოლოს და ბოლოს, მოვახერხეთ ევროთასის მოპოვება, ამისთვის კი დიდი წვალება დაგვჭირდა. ჩვენს ინჩასებს მადლობას ვუხდი, ეს გამარჯვება მათ ეკუთვნით. ისტორიული სეზონი გვქონდა, გუნდის შრომისმოყვარეობამ გაამართლა და ამიტომაც მიღწეულით ძალიან ბედნიერები ვართ.

UEFA CUP უეფას თასი 2003-2004 UEFA CUP

ბომბარდირები

დიდიე დროგბა	მარსელი	6
მატეა კეუმანი	პსვ ეინდჰოვენი	6
ალან შირერი	ნიუკასლი	6
სონი.ანდერსონი	ვილიარეალი	6
კრეიგ ბელამი	ნიუკასლი	5
მისტა	ვალენსია	5
ალბერტ რიერა	ბორდო	5
ჰარალდ ბრატბაკი	რუსენბორგი	4
ანტონიო კასანო	რომა	4
მარუვან შამახი	ბორდო	4
სამუელ ეტოო	მალიორკა	4
ტომაშ ფრანკოვსკი	ვისლა	4
პიერ-ალან ფრო	სოშო	4
მასიმო მარჯოტა	პერუჯა	4
ხუან რომან რიკელმე	ვილიარეალი	4
რონალდინიო	ბარსელონა	4
ოლეგ ვენგლინსკი	დნიპრო	4



ალან შირერი

დიდიე დროგბა

უეფას თასის ყველა ფინალი 1958 – 2004

1958	ლონდონის ნაკრები — ბარსელონის ნაკრები	2:2, 0:6
1960	ბარსელონის ნაკრები — ბირმინგემის ნაკრები	1:1, 4:1
1961	რომა — ბირმინგემი	2:0, 2:2
1962	ვალენსია — ბარსელონა	6:2, 1:1
1963	ვალენსია — დინამო (ზაგრები)	2:0, 2:1
1964	სარაგოსა — ვალენსია	2:1
1965	ფერენცვაროში — იუვენტუსი	1:0
1966	ბარსელონა — სარაგოსა	0:1, 4:2დ.დ.
1967	დინამო (ზაგრები) — ლიდსი	2:0, 0:0
1968	ლიდსი — ფერენცვაროში	1:0, 0:0
1969	ნიუკასლი — უიპეშტი	3:0, 3:2
1970	ანდერლეხტი — არსენალი	3:1, 0:3
1971	იუვენტუსი — ლიდსი	2:2, 1:1
1972	ვულვერჰემპტონი — ტოტენჰემი	1:2, 1:1
1973	ლივერპული — მიონხენგლადბახი	3:0, 0:2
1974	ტოტენჰემი — ფეიენოორდი	2:2, 0:2
1975	მიონხენგლადბახი — ტვენტე	0:0, 5:1
1976	ლივერპული — ბრიუგე	3:2, 1:1
1977	იუვენტუსი — ბილბაო	1:0, 1:2
1978	ბასტია — პსვ ეინდჰოვენი	0:0, 0:3
1979	ცრვენა ზვეზდა — მიონხენგლადბახი	1:1, 0:1
1980	მიონხენგლადბახი — აინტრახტი	3:2, 0:1
1981	იფსვიჩი — ალკმაარი	3:0, 2:4
1982	გიოტებორგი — ჰამბურგი	1:0, 0:3
1983	ანდერლეხტი — ბენფიკა	1:0, 1:1
1984	ანდერლეხტი — ტოტენჰემი	1:1, 1:1(პენ.3:4)
1985	ვიდეოტონი — რეალი	0:3, 1:0
1986	რეალი — კიოლნი	5:1, 0:2
1987	გიოტებორგი — დანდი იუნაიტედი	1:0, 1:1
1988	ესპანიოლი — ლევერკუზენი	3:0, 0:3(პენ.2:3)
1989	ნაპოლი — შტუტგარტი	2:1, 3:3
1990	იუვენტუსი — ფიორენტინა	3:1, 0:0
1991	ინტერი — რომა	2:0, 0:1
1992	ტორინო — აიაქსი	2:2, 0:0
1993	დორტმუნდი — იუვენტუსი	1:3, 0:3
1994	ზალცბურგი — ინტერი	0:1, 0:1
1995	პარმა — იუვენტუსი	1:0, 1:1
1996	ბაიერნი — ბორდო	2:0, 3:1
1997	შალკე — ინტერი	1:0, 0:1(პენ.4:1)
1998	ინტერი — ლაციო	3:0
1999	პარმა — მარსელი	3:0
2000	გალათასარაი — არსენალი	0:0(პენ.4:1)
2001	ლივერპული — ალავესი	5:4დ.დ.(4:4)
2002	ფეიენოორდი — დორტმუნდი	3:2
2003	პორტუ — სელტიკი	3:2დ.დ.(2:2)
2004	ვალენსია — მარსელი	2:0

1958-71 წლებში გათამაშებას ბაზრობათა თასი ერქვა

ლივერპულმა კოპი შეკრა

ულიემ გულიც ჯი მოგვცა, მაგრამ უნდა წავიდეს!

ეს კვირაც და, ანუ დაახლოებით ორმოცდარვა საათის მერე, ჟერარ ულიე აღარ იქნება „ლივერპულის“ მენეჯერი.

ასეთია ხმა, რომელიც ახლა „ენფილდის“ შორიახლოს დადის და ალბათ ნამდვილი ხმაა, რადგან არის სხვა ხმა — „ლივერპულიდან“ უკვე უკავშირდებიან „სელტიკის“ მენეჯერ მარტინ ონილს, ხოლო ფეხბურთის დირექტორად კლუბის ლეგენდა, მისი ყოფილი მენეჯერი კენი დალგლიში სურთო.

თუმცა, ულიე არ იმჩნევს ამ ხმებს და მომავალი სეზონისთვის ჩვეულებრივად ემზადება. „მე შეხვედრები მაქვს კლუბის უფროსობასთან და ახალი ტრანსფერების გამო ვსაუბრობ“— ამბობს ის.

ამ თქმის მიუხედავად, კლუბის თავმჯდომარე დევიდ მური და შეფი რიკ პერი სხვას ფიქრობენ. ისინი სამშაბათს აპირებენ ულიესთან ლაპარაკს, თუ რა თქმა უნდა, მანამდე არ გადააყენეს.

ონილის პარალელურად ისმის ჩარლტონელი ალან კერბიშლის, ვალენსიელი რაფაელ ბენიტესის და თვით ჟოზე მაურინიუს სახელებიც.

სხვა ხმები გვამცნობენ, რომ ულიემ ყველაფერი იცის და მისი წასვლა ერთგვარად უკავშირდება დიდ ტაილანდურ ინვესტიციას, ტაილანდის პრემიერ-მინისტრის ტაკსინ შინავატრას მიერ კლუბის მთავარმეწილედ მისვლას. ამ ამბავსაც გვარიანი ინტრიგა ახლავს და „კოპი“ გვარიანად აღშფოთებულა („კოპი“ „ენფილდის“ კარსუკანა ტრიბუნაა და აქედან „ლივერპულის“ გულშემატკივართა სახელად იქცა). თან, „კოპს“ ულიე არ უყვარს და კლუბში ფიქრობენ, რომ ხმები მათ მოთხოვნებს ხმამაღალს გახდის.

ულიემ უდიდესი წარმატება 2001 წელს მოიპოვა, როცა უეფას, ასოციაციის და ლიგის თასები მოიგო. იმ წელიწადს, გულის მძიმე ოპერაციის შემდეგ მწვრთნელი კვლავ დაუბრუნდა გუნდს და მასთან ერთად გაიზიარა წარმატება. ბოლო ტიტულად კი კვლავ ლიგის თასი აქვს, რომელიც შარშან „მანჩესტერს“ მოუგო.

„ლივერპულმა“ წლეულს ვერაფერი მოიპოვა, თუმცა ულიეს სჯერა, რომ ამ ზაფხულს ახალ ხალხს მოიყვანს და ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. თოთხმეტი წელიწადია, „ლივერპული“ ჩემპიონი ვერ გამხდარა. გუნდის კაპიტანი სტივენ ჯერარდი ამბობს, რომ კლუბს სამი ახალი ვარსკვლავი მაინც სჭირდება. „ლივერპულის“ სხვა ლეგენდამ, კრეიგ ჯონსტონმა „კოპს“ მოუწოდა, რომ არ იღელვონ ულიეს მომავლის გამო და მისი ექვსწლიანი მეფობა „ენფილდზე“ პირქუშ ღრუბელში არ გახვიონ. „კლუბმა ისედაც არ მისცა ულიეს გარანტია, რომ ის კვლავ მენეჯერი იქნება და ამ ვითარებაში გულშემატკივრებს უნდა ახსოვდეთ, რომ ულიემ ყველაფერი დადო „ლივერპულისთვის“, თავისი გულიც კი“. ხოლო კლუბის სხვა განთქმული მოთამაშე, ალან კენედი ამბობს, რომ ულიეს გაშვება ახლა საერთოდ არ შეიძლება, რადგან ჯიბრილ სისე და სხვა ვარსკვლავები მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვლენ გუნდში, თუ მენეჯერად ულიე იქნება.

დღეს განთქმული ტელეწამყვანები, ალან ჰანსენი და მარკ ლორენსონი, რომლებმაც „ლივერპულის“ ძველი დიდება გამოჭედეს, შერეული გრძნობით საუბრობენ.

„ვიცოდი, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ულიეს ადგილს ვერ შეუნარჩუნებდა — ამბობს ჰანსენი — პრობლემა ისაა, რომ მან მოიყვანა დიაო, დიუფი, ტრაორე, ლე ტალეკი, სინიმა-პონგოლე და ვერც ერთმა ვერ ითამაშა ფეხბურთი“.

ლორენსონი კი განმარტავს: „ეს არ არის ის გუნდი, ჩემპიონობა რომ შეუძლია. ჩვენ ჰესკის ვაკრიტიკებდით. ახლა ის „ბირმინგემში“ წავიდა, მაგრამ ჰესკი ბევრად სჯობს ბისკანს, შმიცერს, შეირუს, დიაოს, დიუფს. ჩვენ შორს ვართ „მანჩესტერისა“ და „ჩელსისგან“.

ამას ფანებიც ხედავენ და კლუბის უფროსებიც. ამიტომ, დაველოდოთ.

ირაკლი გამყრელიძე



ჯონათან ძებინამ ოფიციალურად მოაწერა ხელი ხუთწლიან ხელშეკრულებას „იუვენტუსთან“. ტურინელებამდე აწ უკვე ყოფილი რომაელი „მილანთან“ ცდილობდა საერთო ენის გამონახვას.

ერთი სიტყვით, კონტრაქტი გაფორმებულია და ფრანგი 2009 წლის 30 ივნისამდე „ბებერი ქალბატონის“ განკარგულებაშია.

„ამ გუნდში თამაში დიდი პატივია — უთხრა ძებინამ „გაძეტა დელი სპორტის“ კორესპოდენტს — კარიერაში ერთადერთი გოლი მაქვს გატანილი და ისიც „იუვენტუსის“ კარში. მგონი ეს ნიშანი იყო“.

ეს გოლი სექტემბერში „დელე ალპიზე“ გავიდა, როდესაც „იუვემ“ და „რომამ“ ორ-ორი გაუტანეს ერთმანეთს. შემდეგ სეზონი გაილია და 25 წლის ფრანგის რომაული კონტრაქტიც დასასრულს მიუახლოვდა — ეს ხელშეკრულება ძალადაკარგულად ოფიციალურად 30 ივნისს ჩაითვლება.

ძებინამ ბინა ტურინში დაიდო

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „იუვენტუსამდე“ ძებინას „მილანთან“ ჰქონდა მოლაპარაკება, მაგრამ როგორც კი „შავ-წითლებმა“ „ლაციოსგან“ იაპ სტამი იყიდეს, მასთან ურთიერთობა დაასრულეს.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსის“ მთავარი პრობლემა გასულ სეზონში დაცვა გახლდათ. გუნდმა საძაგელი შედეგი მიიღო — 42 გოლი გაუშვა, რაც ძებინას ყოფილი გუნდის „რომას“ გაშვებულზე ორჯერ მეტია.

სერია A-ში ძებინამ ჯერ კიდევ 1998 წელს დაიწყო თამაში. მაშინ ის „კალიარიში“ გამოდიოდა, 2000 წელს კი „რომაში“ გადავიდა.

პაპუნა კედია

გუშინ მოგახსენეთ, რომ იტალიის ნაკრების მწვრთნელმა, ჯოვანი ტრაპატონიმ ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც ევრო 2004-ზე მიჰყავს. გეხსომებათ, ამ სიაში ვერ მოხვდნენ მილანელი ფილიპო ინძაგი და პარმელი ახალგაზრდა ფორვარდი ალბერტო ჯილარდინო. უფრო სწორად, სიაში, ცხადია, ბევრი ვერ მოხვდა, მაგრამ ამ ორის არყოფნამ გულშემატკივართა შორის ყველაზე დიდი ხმაური გამოიწვია. ამასთან და, საერთოდ, პორტუგალიაში წამსვლელებთან დაკავშირებით სკუადრა აძურას თავკაცმა პრესკონფერენცია მოაწყო.

ნაკლები კითხვებით პორტუგალიაში

ტრაპატონიმ ჯილარდინო როსის არ გაუტოლა

„ორი წლის წინ, როდესაც იაპონიაში გავემგზავრეთ, თან ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გავიყოლეთ. ამჯერად, ყველა ღონე ვიხმარე, რომ ამ კითხვის ნიშნების რაოდენობა მინიმუმამდე რომ დამეყვანა“ — განაცხადა ტაქტიკოსმა და გასაგებია, რაც იგულისხმა: აქ ლაპარაკია ბოლომდე ვერგამოჯანმრთელებული ან ფორმაში ვერშესული ფეხბურთელების რიცხვზე, ერთ-ერთი ასეთთაგანია ინძაგიც.

„იძულებული შევიქენი, არჩევანი გამეკეთებინა ნაოპერაციევთა და მხოლოდ კუნთდაშავებულთა, ანუ ინძაგისა და დელ პიეროს მაგვართა შორის“ — დასძინა ტრაპმ.

სხვათა შორის, მნიშვნელოვანია, რომ გამოქვეყნებულ სიას საბოლოო ბეჭედი 2 ივნისს უნდა დაერტყას, რაც იმას ნიშნავს, რომ თეორიულად განაცხადის შეცვლა ჯერ კიდევ არ არის გამორიცხული.

აღსანიშნავია, რომ ბევრი ინძაგის მაგივრად სიაში ჯილარდინოს გვარის ამოკითხვას ელოდა, მაგრამ ახალგაზრდა პარმელის ნაცვლად იქ იუვენტუსელი მარკო დი ვაიო დაუხვდათ.

„ჯილარდინოსთან დაკავშირებით კი მართლა გვარიანად ვიყოყმანე, მაგრამ რა ვქნა, მის პოზიციაზე კრისტიან ვიერი და ბერნარდო კორადი მყავს. თან ჯილარდინო ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში ათენშია წასასვლელი. აი, თუ დარჩენილ დღეებში ვინმე დაშავდება, მაშინ ამ ახალგაზრდა თავდამსხმელს აუცილებლად გამოვიძახებთ — განმარტა ხანდაზმულმა მწვრთნელმა და კიდევ უფრო შორს წავიდა — გაიხსენეთ ორი წლის წინანდელი ამბავი. მაშინ დარიო უბნერი დავტოვე, არადა, იგი იმ ჩემპიონატში სერია A-ს მეორე ბომბარდირი გახდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ დიდ შეჯიბრებაზე ფეხბურთელებს მხოლოდ ბოლო სამ თვეში ნათამაშების მიხედვით ვერ წავიყვან. ჯილარდინოს წინ დიდი მომავალი აქვს და ის ნაკრებში ჯერ კიდევ ბევრჯერ გამოიჩენს თავს“.

საინტერესოა, რომ ალბერტო ჯილარდინოს რატომღაც ძალიან ხშირად ადარებენ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გმირს, პაოლო როსის.

„იმ დროს როსის იტალიის ნაკრებში უკვე 26-თამაშიანი გამოცდილება უმაგრებდა ზურგს. იგი სამჯერ ჯერ კიდევ 1978 წლის ჩემპიონატამდე იყო გამოძახებული. ესპანეთში პაოლო 26 წლის გახლდათ და დიდ ჩემპიონატში თამაშის გამოცდილებაც ჰქონდა“ — მოიგერია ასეთი შედარების მოყვარულნი როსისა და „იუვენტუსის“ მაშინდელმა მწვრთნელმა.

რაც შეეხება თავად მოახლოებულ შეჯიბრებას, მასზე ტრაპატონიმ ასეთი მოსაზრებანი გამოთქვა:

„ყველაზე მცირეს, რასაც ჩვენგან ელიან, ჩემპიონობაა. საერთოდაც, იტალიისგან ყოველთვის მხოლოდ ჩემპიონობას ელიან, ისევე როგორც საფრანგეთისგან, ინგლისისგან, ესპანეთისგან და გერმანიისგან, მაგრამ მე ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ეტაპის გადალახვა მაინტერესებს. გადახედეთ ჩვენს ჯგუფში რა გუნდებია. ფაქტია, რომ თავზე ვერც ერთს ვერ გადავაბიჯებთ, თითოეული მათგანი ძლიერია“.

მართლაც გადავხედოთ: ევრო 2004-ის C ჯგუფში იტალიის გარდა არიან შვედეთი, ბულგარეთი და დანია.

პაპუნა კედია

იცით, რა არის სირცხვილი?

იტალიაში ერთი ამბავია: შეცდა თუ არა „სკუადრა აძურას“ მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი, როდესაც ევრო-2004-ზე წასაყვან ფეხბურთელთა სიაში არ ჩაწერა „პარმას“ ახალგაზრდა ვარსკვლავი, ახალდამთავრებულ სეზონში 23 გოლის ავტორი, ალბერტო ჯილარდინო? იტალიაში კი არა, იტალიური ფეხბურთის მოყვარული ქართველობაც დაეჭვდა — იქნებ ჯილარდინოს უსამართლოდ მოექცნენ, ხოლო მისი პორტუგალიაში არწაყვანით „სკუადრა აძურას“ იზარალებს“ ამ და სხვა საკითხზე დავის ნაადრევს გვთავაზობს იტალიელი ჟურნალისტი ანტონიო ლაბატე

ფაქტია, სერია A-ში 23 გოლის გატანა, წესით და რიგით სრულიად საკმარისი უნდა იყოს საიმისოდ, რომ ესა თუ ის თავდამსხმელი ნაკრებში მიიწვიონ, მაგრამ „პარმას“ ახალგაზრდა ფორვარდზე, ალბერტო ჯილარდინოზე ეს წესი არ გავრცელდა. საქმე კი ის გახლავთ, რომ ალბერტოს შინ დატოვება მის ოსტატობასთან საერთოდ არ არის კავშირში. დახეთ, რა ხდება: 21 წლის ჯილარდინოს ნაკრებში თავიდან ბოლომდე ერთი მატჩიც არ უთამაშია, ხოლო ჯოვანი ტრაპატონიმ სრულიად ნათლად განაცხადა, რომ მას უპირველეს ყოვლისა კრისტიან ვიერი და ბერნარდო კორადი ჰყავს, რომელთაც ენდობა. ეს წყვილი იმ 4-2-3-1 სისტემის ერთ-ერთი მთავარი ნაწილთაგანი იყო, რომელმაც შესარჩევ ეტაპზე გაიმარჯვა და პორტუგალიის საგზური მოიპოვა.

დიახ, ჯილარდინოს დიდი მომავალი ელის, მაგრამ ეს სწორედ ის ჯილარდინოა, წინა სეზონში მხოლოდ ოთხი გოლი რომ გაიტანა. შეგახსენებთ იმასაც, რომ მან ეს სეზონი ადრიანოს დუბლიორის რანგში დაიწყო, არადა, დღეს აღარავის ახსოვს, რომ დიდ ტურნირებზე გამოცდილებას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

უბრალოდ სირცხვილია, იტალიური პრესა-ტელევიზიის დიდი ნაწილი რომ დამდგარა და ტრაპატონის აკრიტიკებს. ზოგი იქამდეა მისული, ჯილარდინოს დატოვებას და მეექვსე ფორვარდად მარკო დი ვაიოს წაყვანას სიგიჟეს უწოდებს. არადა, ტაქტიკური თვალსაზრისით იუვენტუსელი გაცილებით მრავალმხრივია, ვინაიდან მეორე თავდამსხმელობაც შეუძლია და მარცხენა გარემარბობაც.

ტრაპატონის, სხვათა შორის, რობერტო ბაჯოს და ფილიპო ინძაგის დატოვებისთვისაც აკრიტიკებენ, მაგრამ ძალიან საინტერესოა, კრიტიკოსთაგან რომელიმე თუ ელოდა ან ერთის, ან მეორის ნაკრებში წაყვანას? ბაჯოს აპრილში გამოსათხოვარი თამაში კი მოუწყეს, მაგრამ მანამდე მთელი ხუთი წელიწადი არ იწვევდნენ. მას არც შესარჩევში უთამაშია და ყოველმხრივ ნათელი იყო, რომ ტრაპატონის გეგმაში არ შედიოდა, ხოლო რაც შეეხება ინძაგის, მან ერთი თვის წინ ოპერაცია გაიკეთა და საერთოდაც, მთელი სეზონი ტრავმებით იყო დატანჯული. დიახ, მან შესარჩევში დიდი როლი ითამაშა, განსაკუთრებით უელსის კარში სამი გოლის გატანით — რამაც სხვათა შორის ტრაპატონი თანამდებობაზე დასტოვა — მაგრამ ამის მიუხედავად, მისი ჩემპიონატზე წაყვანა აშკარა ლატარია იქნებოდა. ალექს დელ პიეროს, ფრანჩესკო ტოტის და ანტონიო კასანოსაც სეზონი მეტ-ნაკლებად ტრავმიანი ჰქონდათ და კიდევ ინძაგის დამატება მეტისმეტი იქნებოდა.

ერთი სიტყვით, კამპანიის სკანდალით დაწყება სირცხვილად მიმაჩნია. ნუ დაგვავიწყდება, რომ ტრაპატონიმ ნაკრებში მიიწვია ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან ბუფონი, ნესტა, კანავარო, ძამბროტა, ტოტი, დელ პიერო და ვიერი, ხოლო ეს ის ხალხია, რომელსაც შესწევთ ძალა ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

ტრაპატონი მესამე მეკარედ ანჯელო პერუცის წაყვანისთვისაც უნდა შევაქოთ. „ლაციოს“ გოლკიპერს ჩინებული სეზონი ჰქონდა და მეორე მეკარის პოზიციიდან ფრანჩესკო ტოლდოს გაძევებაც კი შეუძლია, მით უფრო, რომ ტოლდო ამ წელიწადს ძველებურად ვერ თამაშობს.

პაპუნა კედია

„სკუადრა აძურას“ მთავარი კაცი თავდასხმაში კრისტიან ვიერი იქნება

ფერნანდო მორიენტესი და ჯონ ტერი, შესაძლოა, თანაგუნდელები გახდნენ

ფრანგებმა მორიენტესში აბრამოვიჩი დაინახეს

რანიერი რომის რადიოს დაუმეგობრდა

ფერნანდო მორიენტესმა, რომლის შეძენაც ლონდონის „არსენალს“ 17,5 მილიონ გირნვაქად სურს, გუშინ „ეკიპთან“ საუბარში განაცხადა, რომ „მონაკოდან“ მისი წასვლა 90 პროცენტით გადაწყვეტილი ამბავია

28 წლის ესპანელი ფორვარდი მადრიდის „რეალმა“ ფრანგებს ერთი წლით იჯარით დაუთმო, „სამეფო კლუბს“ კი კონტრაქტით კიდევ ორი წლით ეკუთვნის.

მეგოლემ ადრევე თქვა, სიამოვნებით გადავალ „მონაკოდან“ სხვა გუნდში, თუ „რეალი“ გამიშვებსო. ამჯერად „ელ მოროს“ ასეთი შანსი აქვს. „ეკიპის“ კითხვაზე მან პასუხს თავი აარიდა და არ დაასახელა კლუბი, რომელშიც გადაბარგებას აპირებს. „ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობს. შემოთავაზებულ ვარიანტზე თანახმა ვარ, მაგრამ სხვა დეტალებია დასაზუსტებელი. სანამ კონტრაქტზე ხელს არ მოვაწერ, ვერაფერს გეტყვით. ვინ იცის, იქნებ „რეალშიც“ დავბრუნდე“.

ფრანგი ჟურნალისტების ვარაუდით, მორიენტესი „ჩელსიში“ გადავა, რადგან მხოლოდ რომან აბრამოვიჩის სქელ ჯიბეს შეუძლია „რეალისა“ და მისი ფეხბურთელის მადის დაკმაყოფილება.

აბრამოვიჩისგან გულგაწვრილებული კლაუდიო რანიერი კი ამჟამად რომშია. იტალიელი სამშობლოში დასასვენებლად ჩასულა და იქაურ რადიოსთან ინტერვიუში უთქვამს: „ჩელსიში“ სული და გული ჩავდე. ახლა აქ ვარ და ჩელსელ ფეხბურთელებს შვებულების დასრულების შემდეგ ალბათ კვლავ შევხვდები. კლუბთან 2007 წლამდე მაქვს კონტრაქტი და წასვლას არ ვაპირებ, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. მე ვიცი, რომ „რომას“ ფინანსურად უჭირს. მიუხედავად ამისა, „ჩელსიდან“ თუ გამიშვეს, სიამოვნებით ვიმუშავებ „რომაში“, რადგან ყოველთვის ამ გუნდის გულშემატკივარი ვიყავი. კლუბის ფინანსური პრობლემებს არად ჩავაგდებ და გავრისკავ. „რომამ“ სკუდეტოსთვის უნდა იბრძოლოს, მას ხომ ფრანჩესკო ტოტი ჰყავს“.

ვაჟა ხუციშვილი

უკეთესიც ახლოვს

ალანიამ კუბრბისს მარსელი მოაგონა

რუსეთი

პრემიერლიგა. XII ტური

ალანია 4:2 დინამო

0:1 გიანი (7), 0:2 ზბონჩაკი (11), 1:2 ტუდორი (51), 2:2 ტანასევიჩი (57ს.კ.), 3:2 ბატესი (62), 4:2 ტუდორი (83)

ცსკა 1:1 შინიკი

1:0 სემაკი (70), 1:1 კარპენკო (89პ)

როსტოვი 3:1 სპარტაკი

1:0 შირშოვი (12), 2:0 აკოპიანცი (31), 2:1 პავლიუჩენკო (43), 3:1 პერესი (90)

როტორი 2:2 ამკარი

0:1 ბახტინი (30), 1:1 ჩისტიაკოვი (33), 2:1 ტრიფონოვი (44), 2:2 ბახტინი (90)

ყუბანი 1:1 კრილია

0:1 პოშკუსი (23), 1:1 კისელიოვი (54)

ლოკომოტივი 0:1 ზენიტი

0:1 კერჟაკოვი (89)

სატურნი 1:1 რუბინი

0:1 დოშტალეკი (21), 1:1 იანი (83)

ტ. მეტალურგი 0:2 ტორპედო

0:1 სამუსევასი (14), 0:2 პანოვი (27)

„ეს ბრწყინვალე მატჩი იყო, მაგრამ ჩემს კარიერაში უკეთესიც მინახავს — თქვა ნამატჩევს „ალანიას“ მწვრთნელმა როლან კუბისმა — მახსოვს, „მარსელის“ მწვრთნელობისას „მონპელიესთან“ პირველი ტაიმი 0:4 წავაგეთ, მაგრამ 5:4 გამარჯვება შევძელით. ახლაც დაახლოებით იგივე მოხდა, ოღონდ ნუ მკითხავთ, როგორ მოვახერხეთ ამის გაკეთება“.

ვლადიკავკაზში მასპინძლები მეთხუთმეტე წუთისთვის 0:2 აგებდნენ. დინამოელმა გიანმა საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა და კარში შევარდა. მეორე გოლიც გიანის გამოჩხრეკილია. აფრიკელმა ლეგიონერმა კუთხურის ალამთან ორ მცველს აჯობა, ბურთი იაშინს მიაწოდა, რომელმაც ზბონჩაკი მონახა და ჩეხმა ანგარიშში სხვაობა გაზარდა.

პირველი გოლის ავტორი ტრავმის გამო შესვენებისას შეცვალეს და მოსკოვის „დინამოც“ აირია. ბაზაევის პასით ტუდორმა თავური დარტყმით ერთი გაქვითა. ამას სტუმარი მცველის შეცდომა მოჰყვა, ტანასევიჩმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და — 2:2.

გალაღებულ ალანიელებს მადა გაეხსნათ და მალე მესამეც მიაყოლეს. „დინამოს“ აწეწილი დაცვა მასპინძელთა შეტევების მოგერიებას ვეღარ აუდიოდა. კუთხურიდან ჩაწოდებულზე ბატესმა იხეირა და ვლადიკავკაზელები დაწინაურდნენ. ბოლოს კი დაშამათებულ მოსკოველებს ტუდორმა მეოთხე გაუტანა. ამ გამარჯვებით „ალანია“ ექვსი საფეხურით დაწინაურდა და მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა.

„სპარტაკი“ ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა. „სახალხო გუნდის“ კარს ამჯერად გიორგი ლომაია იცავდა, რომელსაც როსტოველებმა პირველ ტაიმში ორი გოლი გაუტანეს, მატჩის მიწურულს გასათანაბრებლად შეტევაში გართული სტუმრები ჰერესმა მესამედაც დაამწუხრა. „როსტოვმა“ სეზონში მეორე მატჩი მოიგო და ბოლოსწინა ადგილს თავი დააღწია.

მოსკოვში „ლოკომოტივმა“ „ზენიტს“ უმასპინძლა და კერჟაკოვის კოხტა გოლით დამარცხდა. ნევისპირელი ფორვარდი ისარივით გაფრინდა და ოვჩინიკოვს თავური დარტყმით ბოლო წუთზე გაუტანა.

ორი-სამი საგოლე მომენტი ჰქონდა სიჩოვს, მაგრამ „ლოკოს“ მეგოლემ ბურთი კარის ჩარჩოში ვერ დაუმიზნა. „სამწუხაროდ, კარგად თამაში ყოველთვის მოგებას არ ნიშნავს — თქვა იური სიომინმა — ჩვენ შესანიშნავად ვითამაშეთ, მაგრამ სამი ქულა ღირსეულმა მეტოქემ წაიღო. ასეა, როცა შანსს გაანიავებ, მოწინააღმდეგე აუცილებლად დაგსჯის“.

„ზენიტმა“ იმარჯვა, მაგრამ ლიდერმაც სამი ქულა მიიოვალა და კვლავ ცხრილის თავში დარჩა. მოსკოვურ დერბიში „ტორპედომ“ „ტორპედო-მეტალურგს“ პირველ ტაიმში გატანილი ორი გოლით სძლია. „ტორპედო-მეტალურგს“ „მოსკოვი“ ოფიციალურად 29 მაისის შემდეგ დაერქმევა.

ამ მატჩში მსგავსი გოლები გავიდა. მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ჯერ სამუსევასმა შეაგდო მასპინძელთა კარში, შემდეგ კი იმავე ადგილიდან პანოვმა მეორე გაიტანა.

ცსკა-მ მეორე ადგილზე გადასვლა ვერ შეძლო, რადგან „შინიკისგან“ ბოლო წუთზე პენალტი გაუშვა. მასპინძლებს მეტოქის დაცვის გავლა უჭირდათ და მხოლოდ მეორე ტაიმში, კირიჩენკოს შესვლის შემდეგ შეძლეს ანგარიშის გახსნა. ახალშესულის წამოწყებული კომბინაცია სემაკმა ზუსტი დარტყმით დაასრულა.

კირიჩენკომ 89-ე წუთზე ნაღდი მომენტი გააცუდა, მეკარესთან პირისპირ გასულმა იძუნწა, თანაგუნდელს პასი არ მიაწოდა, თავად კი ვერ გაიტანა. ცსკა ამისთვის დაისაჯა. გრიშინის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი საჯარიმო კარპენკომ გამოიყენა და „შინიკს“ ქულა გაუცოცხლა.

„ტორპედო-მეტალურგი“ — „ტორპედო“. ეკტორ ბრაჟამონტეს (შუაში) ცდა არ დაუკლია, მაგრამ სტუმართა კარს ვერაფერი დაჟღლო

ვაჟა ხუციშვილი

ტორპედო	12	8	3	1	25:9	27
ზენიტი	12	7	3	2	24:16	24
ცსკა	12	6	5	1	20:10	23
ლოკომოტივი	12	6	4	2	16:8	22
კრილია	12	5	4	3	20:21	19
სატურნი	12	3	7	2	14:11	16
ალანია	12	4	4	4	11:12	16
დინამო	12	3	6	3	14:12	15
ტ. მეტალურგი	12	3	5	4	15:14	14
სპარტაკი	12	4	2	6	21:24	14
ამკარი	12	3	5	4	10:16	14
ყუბანი	12	2	5	5	12:18	11
შინიკი	12	2	5	5	6:12	11
რუბინი	12	1	7	4	11:14	10
როსტოვი	12	2	4	6	13:20	10
როტორი	12	1	3	8	14:29	6

Copa Toyota Libertadores '2004

ლიბერტადორესის თასი 2004

მეოთხედფინალი. I მატჩები

სან პაულუ (ბრაზილია) 3:0 დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა)

1:0 როჟერიო სენი (33პ), 2:0 ლუის ფაბიანო (49პ), 3:0 გუსტავო ნერი (59)

სანტოსი (ბრაზილია) 1:1 ონსე კალდასი (კოლუმბია)

1:0 ბასილიო (84), 1:1 ვალენტიერა (88)

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ოკეანეთი. I საკვალიფიკაციო წრე

A ჯგუფი. IV ტური

ახალი კალედონია 8:0 ტონგა

სოლომონის კ-ები 1:1 ტაიტი

სოლომონის კ-ები	4	3	1	0	14:1	10
ტაიტი	4	2	2	0	5:1	8
ახალი კალედონია	4	2	1	1	16:2	7
ტონგა	4	1	0	3	2:17	3
კუკის კ-ები	4	0	0	4	1:17	0

B ჯგუფი. IV ტური

ფიჯი 0:3 ვანუატუ

სამოა 1:4 პაპუა ახალი გვინეა

ვანუატუ	4	3	1	0	16:2	10
ფიჯი	4	3	0	1	19:5	9
პაპუა ახალი გვინეა	4	2	1	1	17:6	7
სამოა	4	1	0	3	5:11	3
ამერიკის სამოა	4	0	0	4	1:34	0

ესპანეთი ევრო-2004-ზე

მეკარეები: იკერ კასილიასი (რეალი), სანტიაგო კანისარესი (ვალენსია), დანიელ არანსუბია (ბილბაო);

მცველები: კარლეს პუიოლი, გაბრი გარსია (ბარსელონა), მიჩელ სალგადო, ივან ელგერა, რაულ ბრავო (რეალი), კარლოს მარჩენა (ვალენსია), მარტინ სესარი (დეპორტივო), ივან ხუანიტო (ბეტისი);

ნახევარმცველები: ხუან კარლოს ვალერონი (დეპორტივო), ხაბი ალონსო (სოსიედადი), რუბენ ბარახა, ვისენტე როდრიგესი, დავიდ ალბელდა (ვალენსია), ხოაკინ სანჩესი (ბეტისი), ხავი ერნანდესი (ბარსელონა), ხოსება ეჩებერია (ბილბაო);

თავდამსხმელები: რაულ გონსალესი (რეალი), ალბერტ ლუკე (დეპორტივო), ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო), ფერნანდო მორიენტესი (მონაკო, საფრანგეთი)

ნორვეგია

ტიპელიგა

VII ტური

ვოლერენგა 2:2 რუსენბორგი

ტრომსიო	6	4	1	1	13:5	13
ვოლერენგა	7	3	4	0	8:5	13
ოდ გრენლანდი	6	3	3	0	12:5	12
ჰამ კამი	6	2	3	1	5:4	9
ბოდიო გლიმტი	6	3	0	3	9:9	9
რუსენბორგი	7	2	3	2	8:10	9
ლინი	6	2	2	2	5:4	8
მოლდე	6	2	2	2	7:7	8
ბრანი	6	2	1	3	7:6	7
ლილესტრიომი	6	1	3	2	7:7	6
სოგნდალი	6	1	2	3	9:12	5
ვიკინგი	6	0	5	1	4:8	5
ფრედრიკსტადი	6	1	2	3	8:14	5
სტაბეკი	6	1	1	4	6:12	4

სარგებელი ᲓᲐ კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტური								
22 მაისი								
18.30	003	მიონხენგლადბახი-მიუნხენი	2,4	3,6	2,25	1,44	1,16	1,38
18.30	004	კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი	2,6	3,0	2,4	1,39	1,24	1,33
18.30	005	ვოლფსბურგი-შალკე	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
18.30	006	ლევერკუზენი-შტუტგარტი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
18.30	007	ჰანზა-ვერდერი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
18.30	008	ჰერტა-კიოლნი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
18.30	009	ბოხუმი-ჰანოვერი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
18.30	010	ჰამბურგი-აინტრახტი	2,3	3,6	2,3	1,4	1,15	1,4
18.30	011	ბაიერნი-ფრაიბურგი	1,15	5,6	12,5	1	1,05	3,86
გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXIV ტური								
23 მაისი								
18.00	028	აუე-უნტერჰახინგი	2,3	2,3	3,2	1,15	1,33	1,33
18.00	029	ფიურტი-ლიუბეკი	2,4	3,5	2,0	1,42	1,09	1,27
18.00	030	არმინია-დუისბურგი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
18.00	031	ბურგაუზენი-უნიონი	1,55	3,0	6,0	1,02	1,23	2
18.00	032	მაინცი-ტრირი	1,25	4,6	7,5	1	1,07	2,85
18.00	033	კოტბუსი-რეგენსბურგი	1,5	4,2	4,2	1,1	1,1	2,09
18.00	035	ალენი-ნიურნბერგი	1,7	3,4	3,5	1,13	1,14	1,72
18.00	036	კარლსრუე-ალემანია	2,3	3,4	2,3	1,37	1,15	1,37
გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXII ტური								
21 მაისი								
21.00	039	ვერდერი(მ)-დინამო	2,5	3,1	2,0	1,38	1,11	1,21
22 მაისი								
17.00	041	ურდინგენი-ვატენშაიდი	2,15	3,1	2,5	1,26	1,15	1,38
17.00	044	კიოლნი(მ)-ვუპერტალი	2,7	3,1	2,0	1,44	1,14	1,21
17.00	046	პადერბორნი-ქემნიცი	1,45	3,3	4,8	1	1,11	1,95
გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXII ტური								
21 მაისი								
22.30	049	ოფენბახი-ელვერსბერგი	1,7	3,2	4,2	1,11	1,21	1,81
22 მაისი								
17.30	051	ეშბორნი-ფოიხტი	2,45	3,0	2,35	1,34	1,19	1,31
17.30	052	შვაინფურტი-ერფურტი	1,9	3,2	3,4	1,19	1,21	1,64
17.30	053	ზაარბრიუკენი-ვეენი	1,9	2,9	3,6	1,14	1,24	1,6
17.30	054	აალენი-მაინცი(მ)	1,95	3,1	3,3	1,22	1,22	1,65
23 მაისი								
17.30	056	ბაიერნი(მ)-შტუტგარტი(მ)	1,55	3,3	5,0	1,05	1,18	1,98
ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVIII ტური								
23 მაისი								
21.00	012	ვალენსია-ალბასეტე	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
21.00	013	სევილია-ოსასუნა	1,4	3,8	6,0	1,02	1,13	2,32
21.00	014	ბილბაო-ატლეტიკო	2,3	3,4	2,3	1,37	1,15	1,37
21.00	015	სარაგოსა-ბარსელონა	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
21.00	016	რასინგი-დეპორტივო	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
21.00	017	სელტა-მალიორკა	1,4	4,0	5,0	1,03	1,09	2,22
21.00	018	ესპანიოლი-მურსია	1,25	5,0	8,0	1	1,08	3,07
21.00	019	რეალი-სოსიედადი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
21.00	020	მალაგა-ბეტისი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
21.00	021	ვალიადოლიდი-ვილიარეალი	3,0	3,6	1,75	1,63	1,1	1,17
ესპანეთი. II დივიზიონი. XXXVIII ტური								
22 მაისი								
21.30	072	ელჩე-ალავესი	3,2	2,35	2,35	1,35	1,35	1,17
24.00	073	ტენერიფე-კადისი	2,15	2,6	3,6	1,17	1,34	1,5
23 მაისი								
15.00	074	ლევანტე-ლას პალმასი	1,5	3,4	6,5	1,04	1,21	2,23
20.00	075	ლევანესი-ხეტაფე	2,8	2,6	2,6	1,34	1,34	1,3
21.00	076	სიუდადი-ალმერია	2,2	2,5	3,6	1,36	1,36	1,8
21.00	077	ნუმანსია-მალაგა ბ	1,6	3,1	5,3	1,05	1,22	1,95
21.00	078	რაიო-ალხესირასი	1,1	3,4	6,0	1	1	2,17
21.00	079	ტერასა-უელვა	2,8	2,6	2,6	1,34	1,34	1,3
21.00	080	ეხიდო-კორდობა	2,2	2,6	3,5	1,19	1,35	1,49
21.00	081	სერესი-სალამანკა	2,1	2,6	3,8	1,16	1,35	1,54
21.00	082	ეიბარი-სპორტინგი	2,9	2,6	2,5	1,37	1,34	1,27
საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXVIII ტური								
21 მაისი								
23.30	084	ბორდო-მონაკო	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
23 მაისი								
23.00	085	აიაჩო-მეცი	1,35	3,6	6,5	1	1,11	2,31
23.00	086	ბასტია-პსუ	2,9	2,7	2,4	1,39	1,31	1,27
23.00	087	ლე მანი-ლანსი	1,85	3,4	3,4	1,19	1,19	1,7
23.00	088	ლიონი-ლილი	1,5	3,4	6,0	1,04	1,2	2,17
23.00	089	მარსელი-ენენგამი	2,2	3,3	2,0	1,32	1,04	1,24
23.00	090	ნანტი-სოშო	2,45	3,0	2,7	1,34	1,28	1,42
23.00	091	ნიცა-ოსერი	3,0	3,1	2,25	1,52	1,28	1,3
23.00	092	რენი-მონპელიე	1,45	3,6	6,5	1,03	1,18	2,31
23.00	093	სტრასბური-ტულუზი	3,3	3,2	1,85	1,62	1,18	1,17
საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVIII ტური								
22 მაისი								
23.00	095	ამიენი-ლავალი	2,0	3,0	2,0	1,2	1	1,2
23.00	096	ბეზანსონი-ვერენობლი	2,15	2,7	3,4	1,19	1,31	1,5
23.00	097	კაენი-ტრუა	1,7	3,0	5,0	1,08	1,26	1,87
23.00	098	კრეტეი-ნიორი	2,25	2,7	3,4	1,22	1,35	1,5
23.00	099	ლორიანი-ენენიონი	2,0	3,2	2,0	1,23	1	1,23
23.00	100	ნანსი-ლე ავრი	2,0	2,7	4,2	1,14	1,35	1,64
23.00	101	რუანი-კლერმონი	2,35	2,7	3,0	1,25	1,31	1,42
23.00	102	სტ.ეტიენი-შატორუ	1,5	3,2	6,5	1,02	1,21	2,14
23.00	103	სედანი-ისტრი	2,0	2,8	4,0	1,16	1,33	1,64

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.00	104	ვალანსი-ანჟე	2,0	2,5	4,2	1,11	1,35	1,56
		ჰოლანდია. პლეი-ოფი						
		22 მაისი						
23.00	110	ჰელმონდი-სპარტა	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
23.00	111	ვიტესი-ვენლო	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
23.00	112	ექსელსიორი-ჰერაკლესი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
23.00	113	ვოლენდამი-გრააფსხაპი	1,8	3,4	3,5	1,17	1,18	1,72
		ავსტრია						
		I დივიზიონი. XXXVI ტური						
		21 მაისი						
22.00	126	ბლაიბერგი-უნტერზიბენბრიუნი	2,4	3,2	2,3	1,37	1,17	1,33
22.00	127	ლუსტენაუ-კაფენბერგი	2,3	3,2	2,5	1,33	1,19	1,4
22.00	128	ლინცერი-ტიროლი	2,35	3,2	2,35	1,35	1,17	1,35
22.00	129	ლეობენი-აუსტრია(ლ)	2,25	3,1	2,7	1,3	1,22	1,44
22.00	130	ვიორგლი-რიდი	2,4	3,2	2,4	1,37	1,2	1,37
		შვეიცარია						
		სუპერლიგა. XXXVI ტური						
		22 მაისი						
20.30	131	სტ.გალენი-სერვეტი	1,9	3,3	3,5	1,2	1,23	1,69
23.15	132	ბაზელი-იანგ ბოიზი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
		23 მაისი						
19.15	133	თუნი-ვილი	1,4	4,0	5,0	1,03	1,09	2,22
19.15	134	ქსამაქსი-გრასჰოპერი	2,3	3,3	2,6	1,35	1,22	1,45
19.15	135	ციურიხი-აარაუ	1,55	3,6	5,3	1,08	1,19	2,14
		დანია. სუპერლიგა. XXXII ტური						
		23 მაისი						
18.00	147	აკადემისკი-ორჰუსი	3,0	3,4	2,05	1,59	1,21	1,27
18.00	148	ჰერფიოლგე-ნორდსიელანდი	2,4	2,7	3,0	1,27	1,33	1,42
18.00	149	მიდტიულანდი-ესბიერგი	2,4	3,4	2,4	1,4	1,2	1,4
18.00	150	კოპენჰაგენი-ოლბორგი	1,55	3,5	5,0	1,07	1,18	2,05
18.00	151	ფრემი-ბრიონდბიუ	5,0	3,8	1,5	2,15	1,15	1,07
18.00	152	ვიბორგი-ოდენსე	3,0	3,4	1,95	1,59	1,18	1,23
		ისლანდია						
		პრემიერ დივიზიონი. II ტური						
		21 მაისი						
01.00	248	ვიკინგური-აკურეირი	2,45	3,1	2,45	1,36	1,22	1,36
		ირლანდია. პრემიერლიგა. XII ტური						
		21 მაისი						
23.45	252	კორკი-ლონგფორდი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
23.45	254	შემროკი-დერი	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
		საბერძნეთი. I დივიზიონი. XXX ტური						
		22 მაისი						
21.00	259	ოლიმპიაკოსი-ეგალეო	1,15	5,3	11,0	1	1,04	3,57
21.00	260	პანილიაკოსი-პანათინაიკოსი	11,0	5,3	1,15	3,57	1,04	1

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი. პრემიერლიგა. XIII ტური						
		22 მაისი						
16.00	276	ამკარი-ცსკა	4,8	3,3	1,65	1,95	1,22	
16.00	277	კრილია-ლოკომოტივი	2,6	2,8	2,6	1,34	1,3	1,34
16.00	278	ზენიტი-ყუბანი	1,3	4,4	9,0	1	1,13	2,95
		23 მაისი						
16.00	279	დინამო-როსტოვი	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
16.00	280	რუბინი-მოსკოვი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
16.00	281	შინიკი-სატურნი	2,4	2,8	3,0	1,29	1,33	1,44
16.00	282	სპარტაკი-ალანია	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
16.00	283	ტორპედო-როტორი	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
		პოლონეთი. I ლიგა. XXIV ტური						
		21 მაისი						
23.00	316	ლეჩნა-ვისლა	5,6	3,8	1,4	2,26	1,12	1,02
		22 მაისი						
22.00	317	ოდრა-ჟურნიკი	1,8	3,0	3,8	1,12	1,22	1,67
22.00	318	პოლონია-პოლკოვიცე	1,7	3,3	4,2	1,12	1,21	1,84
22.00	319	სვიტი-ლეხი	1,6	3,6	3,0	1,1	1,04	1,63
22.00	320	კატოვიცე-ამიკა	3,0	2,6	2,0	1,39	1,2	1,13
23.00	321	გროცლინი-ლეგია	2,8	2,9	2,4	1,42	1,29	1,31
		23 მაისი						
18.00	322	ვიძევი-პლოცკი	2,0	3,4	2,3	1,25	1,06	1,37
		ინგლისი. თასი. ფინალი						
		22 მაისი						
18.00	002	მანჩესტერი-მილუოლი	1,28	4,6	10,0	1	1,13	3,15
		შოტლანდია. თასი. ფინალი						
		22 მაისი						
19.00	410	დანფერმლაინი-სელტიკი	9,0	5,0	1,25	3,21	1,09	1
		ჰოლანდია. თასი. ფინალი						
		23 მაისი						
21.00	411	ტვენტე-უტრეხტი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		ბელგია. თასი. ფინალი						
		23 მაისი						
19.00	412	ბევერენი-ბრიუგე	5,6	3,6	1,5	2,19	1,18	1,05
		ავსტრია. თასი. ფინალი						
		23 მაისი						
19.30	413	გრაცერი-აუსტრია	2,6	3,1	2,45	1,41	1,26	1,36
		ამხანაგური მატჩები						
		21 მაისი						
14.30	452	ავსტრალია-თურქეთი	2,5	3,1	2,45	1,38	1,23	1,36
		თასის აღება						
		22 მაისი						
18.00	7002	მანჩესტერი-მილუოლი	1,1	5,0				
		კალათბურთი.ესპანეთი						
		21 მაისი						
23.30	1071	ტაუ-ესტუდიანტესი	1,2	10,0	3,2	1,07	1	2,42

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაკაზუსტეთ

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წსონი ზაგეგულად ჩაითვლება)

5402	მანჩესტერი-მილუოლი	1,25	3,7

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5302	მანჩესტერი-მილუოლი	1,75	1,85

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5102	მანჩესტერი-მილუოლი	1,5	15,0	40,0	3,5	6,0	18,0	20,0	17,0	17,0

I ტაიმის შედეგი

5002	მანჩესტერი-მილუოლი	1,4	3,3	8,0	1	1,19	2,33

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5202	მანჩესტერი-მილუოლი	2,1	1,55

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5502	მანჩესტერი-მილუოლი	3,0	2,8	2,0

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

12 ივნისი

21.00	001	პორტუგალია-საბერძნეთი	1,55	3,3	7,0	1,05	1,26	2,24
23.45	002	ესპანეთი-რუსეთი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12

13 ივნისი

21.00	003	შვეიცარია-ხორვატია	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.45	004	საფრანგეთი-ინგლისი	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64

14 ივნისი

21.00	005	დანია-იტალია	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
23.45	006	შვედეთი-ბულგარეთი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57

15 ივნისი

21.00	007	გერმანია-ჰოლანდია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.45	008	ჩეხეთი-ლატვია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76

16 ივნისი

21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08

17 ივნისი

21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	6,0	3,5	1,55	2,21	1,23	1,07

18 ივნისი

21.00	013	ბულგარეთი-დანია	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
23.45	014	იტალია-შვედეთი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,38

19 ივნისი

21.00	015	ლატვია-გერმანია	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03
23.45	016	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49

20 ივნისი

23.45	017	ესპანეთი-პორტუგალია	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.45	018	რუსეთი-საბერძნეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49

21 ივნისი

23.45	019	ხორვატია-ინგლისი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
23.45	020	შვეიცარია-საფრანგეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02

22 ივნისი

23.45	021	იტალია-ბულგარეთი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
23.45	022	დანია-შვედეთი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39

23 ივნისი

23.45	023	ჰოლანდია-ლატვია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.45	024	გერმანია-ჩეხეთი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.I ადგ.	6301 ჯგ.ბავშ	6401 ჯგ.ვერ.ბავშ
საფრანგეთი	4,5	2,2	1,75	1,15	4,0
იტალია	4,5	2,2	1,65	1,12	4,4
პორტუგალია	6,0	3,0	2,1	1,2	3,5
ესპანეთი	6,0	3,0	2,1	1,25	3,1
ინგლისი	6,0	3,0	2,5	1,3	2,8
ჰოლანდია	8,0	4,0	2,5	1,3	2,8
ჩეხეთი	12,0	6,0	2,8	1,5	2,2
გერმანია	15,0	7,0	3,1	1,55	2,1

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.I ადგ.	6301 ჯგ.ბავშ	6401 ჯგ.ვერ.ბავშ
შვედეთი	25,0	12,0	4,5	1,9	1,7
დანია	30,0	13,0	4,6	1,95	1,65
რუსეთი	50,0	25,0	8,0	3,2	1,23
ხორვატია	50,0	20,0	8,0	2,9	1,27
ბულგარეთი	50,0	25,0	7,5	2,9	1,27
საბერძნეთი	75,0	35,0	8,0	3,8	1,16
შვეიცარია	75,0	35,0	12,0	3,8	1,16
ლატვია	200,0	75,0	30,0	8,0	1,02

ფორმულა 1. მონაკო. 22 მაისი

8001 გამარჯვებული		8201 ექვსეული		8301 უსწრ. წრე
მ.შუმახერი	1,45	1,07	1,03	1,6
ბარიკელო	6,0	1,65	1,1	4,0
მონტოია	6,0	1,65	1,1	4,0
რ.შუმახერი	15,0	3,5	1,2	8,0
კულტჰარდი	30,0	6,0	1,4	15,0
რაიკონენი	30,0	6,0	1,4	15,0
ტრული	18,0	4,0	1,2	9,0
ალონსო	12,0	2,3	1,15	7,0
ბატონი	6,0	1,55	1,1	4,0
სატო	35,0	7,0	1,55	20,0
ფიზიკელა	100,0	25,0	3,5	40,0
მასა	150,0	30,0	4,0	50,0
უებერი	75,0	12,0	2,3	30,0
კლიენი	150,0	30,0	4,0	50,0
და მატა	150,0	30,0	4,0	50,0
პანისი	150,0	30,0	4,0	50,0
ჰაიდფელდი	300,0	50,0	7,0	75,0
პანტანო	300,0	50,0	7,0	75,0
ბრუნი	500,0	100,0	12,0	100,0
ბაუმგარტნერი	500,0	100,0	12,0	100,0

საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი. ფინალი სამ მოგებამდე

დინამო 2:2 ბასკო

20 მაისი. ვერის ბაღი

დინამო 81:93 ბასკო

18:24 26:26 13:21 24:22

დინამო: ჟღენტი, ხოშტარია (4), კეიდია (9), კილაძე (13), მუშკუდიანი (3); ბეჟანიშვილი (21), ლოსაბერიძე (18), გოგობერიშვილი (8), ჩუბინიძე (4), მინაშვილი (1), გამყრელიძე

ბასკო: კვმისაძე, მაისურაძე (3), კეშელავა (8), ბოლქვაძე (2), იმნაძე (11); ი. ბერიშვილი (26), ბერძენიშვილი (14), ბოისა (12), ტუჯანი (7), დ. ბერიშვილი (7), ბ. ბერიშვილი (3), როდუმტა

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბურეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი



ვაშლაძე დოლიძეებიშვილს ფოტოები

დრაჭენი შეაქანეს

ბათუმელი ვარ, თბილისში დავრჩი

ირაკლი პერტაია

მატჩის შემდეგ ქუჩაში გამოსული „ბასკოს“ მოთამაშეები ბათუმელ თანაგუნდელებს ინაწილებდნენ: „გოძილას“ მე წავიყვან — ამბობდა ერთი; „კეშა“, ჩემთან წამო, რბილ დივანზე დაგაწვენ — იქით სხვა ეპატიჟებოდა მეორე სტუმარს...

ეს ბიჭები ვარჯიშზე მეტ დროს ბათუმი-თბილისის გზაზე ატარებენ და ხელფასიც არა აქვთ მგზავრობის ღირებულების დასაფარად. მაგრამ ისინი დედაქალაქში ასე თუ ისე ნაშთვნი ფულით ჩამოვიდნენ და წელგამართულ „დინამოს“ ჩემპიონობა არ დაანებეს.

აი, დრაჭენ ბრაიკოვიჩი რისთვის ჩამოვიდა საქართველოში, ჯერაც გაურკვეველია. ალბათ იმისთვის, რომ „დინამოსა“ და ნაკრების წევრებს ევროპაში გვარიანად მოძველებული და ერთობ მარტივი საკალათბურთო კომბინაციის, „პიკენროლის“ გათამაშება ასწავლოს. „პიკენროლი“ ერთგვარი ტაქტიკური კომბინაციაა, რომლის ბოლო სვლა სამქულიანის სროლაა. მოთამაშე მოძრაობას იწყებს მეტოქის სამწამიანისკენ, რითაც დამცველების ყურადღებას იპყრობს და მოულოდნელად პერიმეტრზე ჩასაფრებულ თანაგუნდელს აწვდის ბურთს.... ამ ილეთის განმარტება იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ გვინდოდა, დინამოელთა სათამაშო მანერაზე გველაპარაკა, თან ყველაფერი ორ სიტყვაში ჩაგვეტია.

თავისდა სამწუხაროდ, „დინამო“ სამქულიანების სროლის გარდა არაფერს აკეთებდა. რომ დავითვალოთ, ბრაიკოვიჩის შეგირდებს ფარქვეშიდან ჩაგდებული ბურთი ხუთიოდე თუ მოუგრვდებათ, დანარჩენი პერიმეტრიდან და საჯარიმო სროლებით აქვთ შეგროვებული.

ეს არაა „დინამოს“ მოთამაშეების ბრალი, ჩემპიონს ძალიან კარგი კალათბურთელები ჰყავს და ნებაზე რომ მიუშვა, ეგებ უმწვრთნელოთაც მოუგონ „ბასკოს“ წონის გუნდს, მაგრამ უფროსი რომ გეუბნება, ეს ასე ქენიო, წინააღმდეგ ვერ წახვალ და თუ მაინც გაბედე, სკამზე აღმოჩნდები.

„დინამოს“ არ გამოსდიოდა ამ „პიკენროლის“ გათამაშება და მოკალი თუ გინდა. მწვრთნელი იმისაა, რომ ასეთ დროს სხვა რამ იარაღი მოძებნოს, ნემსის ყუნწში გაძვრეს და თუ ვერ იპოვის გამოსავალს, მაინც კიდევ მოძებნოს. ბრაიკოვიჩი კი გაფითრებული მიმოდიოდა მოედნის კიდეზე და მისი შეცვლები საქმეს კიდევ უფრო აფუჭებდნენ.

ეგებ თქვათ, ხორვატს ნამეტანი აკრიტიკებთო, მაგრამ ჭკვიანური ნათქვამია — ვისაც მეტი მიეცემა, მეტიც მეოთხოვებაო. როცა უცხოეთიდან მოწვეული განსწავლული მწვრთნელი ხარ, რამდენიმე ათასს გიხდიან, იდეალური ბაზა გაქვს, სადაც შენი გუნდის შესარჩევი შეკრება მოაწყვე და ნაკრებისა დაარქვი, არ უნდა აგებდე თითქმის არაფრის მქონე გუნდთან. ბათუმელების არც ფული აქვთ, არც დარბაზი და თბილისში რომ ჩამოვლენ, ერთმანეთს ღამის გასათევად სახლში ეპატიჟებიან. სამაგიეროდ, მათ ჰყავთ მწვრთნელი, რომელსაც თავისი მთავარი ოპონენტისგან განსხვავებით არ აქვს იარლიყი — „ევროპული დონის სპეციალისტი“. მაგრამ იგი ნაირგვარი ხერხებით ხშირად ამარცხებს გვარიანი ავანსის მქონე ხორვატს.

ნუგზარ კანდელაკმა ახლაც თავბრუდამხვევი სიურპრიზი მოუმზადა დრაჭენ ბრაიკოვიჩის. ასეთი პრინციპული მატჩი „ბასკოს“ თავკაცმა სამარქაფო ხუთეულით დაიწყო და ხორვატ ოპონენტს ერთიანად აურია დავთრები. აი, ბათუმელთა დამწყები ხუთეულიც: მამუკა ბოლქვაძე, ვანო მაისურაძე, ბუბა კვიმსაძე, ლაშა კეშელავა და დავით იმნაძე. პირველ ორს ამ სეზონში თითქმის არ უთამაშია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ განაცხადში ვერ ხვდებოდნენ.

ჰოდა, ბრაიკოვიჩმა ეს რომ დაინახა, თვალები გაუფართოვდა, სანამ მსაჯი ზაზა მაჩალაძე სადავოს აგდებდა, მოედანზე შეაბიჯა და თავისიანებს თითებით ანიშნებდა, შენ ის აიყვენე, შენ ისაო. კანდელაკმა მეტისმეტად გარისკა, ნახევრად დუბლიორი ხუთეულით ჩემპიონთან თამაში ცეცხლთან თამაშს ნიშნავდა, მაგრამ გარისკვასაც შნო უნდა და „ბასკოს“ მწვრთნელმაც იმდენად გამბედავად გააკეთა ეს, რომ საბოლოოდ მოგებული დარჩა.

კანდელაკი, რა თქმა უნდა, სამარქაფო ხუთეულით 30-ქულიანი უპირატესობის მოპოვებას არ გეგმავდა. ეს ხრიკი ერთის მხრივ მეტოქის დასაბნევად იყო გამიზნული, მეორეს მხრივ გუნდის ლიდერების ენერგიისა და პერსონალურების დასაზოგად.

თავის მხრივ ბრაიკოვიჩმა მებრძოლი ხუთეული გაამწესა, მაგრამ ამ თითქოს უთანასწორო ბრძოლაში ანგარში თანაბრად იზრდებოდა. ბათუმელებს ოსტატობა კი აკლდათ, მაგრამ შეუპოვრად ირჯებოდნენ და, რაც მთავარია, მწვრთნელის დავალებას ასრულებდნენ.

დინამოელები ახალგაზრდა მოწინააღმდეგეების შეცდომებზე იყვნენ ჩასაფრებულნი და როცა ბათუმელები შეტევაში ბურთს დაკარგავდნენ, კონტრშეტევებით იხვეჭდნენ ქულებს. თუმც ბრაიკოვიჩელები წინ ვერ გადიოდნენ. თმახუჭუჭა ვანო მაისურაძე მეტად გაუტეხელი ჯეელი გამოდგა და არაერთხელ თამამადაც შეუტია.

მარქაფებმა პირველი ათწუთეულის 5 წუთი რომ ჩაითამაშეს, ტაბლოზე 7:7 ენთო და სწორედ ამ დროს დაიწყო ნუგზარ კანდელაკმა მოედანზე ძირითადების შეშვება. პირველად ჟოლივეტ ტუჯანი გამოჩნდა, რომელიც ბოლქვაძეს შეენაცვლა და თავისი ადგილი დაიკავა სამწამიანის მიდამოებში. მალე დავით ბერძენიშვილმაც შემოაბიჯა ფირცნაგარზე და კედელივით აღიმართა დინამოელებსა და საკუთარ ფარს შორის.

დინამოელებს სამწამიანში შესვლა ისედაც უჭირდათ და „ბერძენს“ გამოჩენის შემდეგ მთლიანად 3-ქულიანებზე გადაერთვნენ. ვალერი კილაძე, რომელიც ნომინალური ცენტრია, სამწამიანს საერთოდ არ ეკარებოდა, მაგრამ რას ერჩი, სამქულიანები ჩაყარა. სამაგიეროდ, არ გაუმართლა ირაკლი კეიდიას, პირველი ზუსტი გასროლის შემდეგ მან მაჯრით გაფუჭა რამდენიმე და ბათუმელებმაც დაწინაურების შანსი ხელიდან არ გაუშვეს. ირაკლი ბერიშვილის სამქულიანს ბერძენიშვილი ფარქვეშიდან ორჯერ შედეგიანად გამოეხმაურა და „ბასკო“ 6-ქულიანი ლიდერობით გავიდა პირველ შესვენებაზე.

მეორე მეოთხედში კიდევ უფრო საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. „დინამომ“ რამდენჯერმე მოიკრიბა ძალა, მაგრამ „ბასკოს“ მხოლოდ ერთ ქულამდე მიუახლოვდა. დასაწყისში ახალგამოსულმა ვახტანგ მინაშვილმა ცოტა წაიმუშავა ფარზე და ვალერი კილაძეც აიყოლია. მერე რამაზ გოგობერიშვილმაც დასჭექა სამქულიანი და „დინამო“ 25:26 მიეახლა „ბასკოს“. კანდელაკმა წუთშესვენება აიღო და მოთამაშეები ისე გაანაწილა, რომ დინამოელებს სამქულიანები არ ესროლათ.

ანატოლი ბოისა გოგობერიშვილს აეწება და სამქულიანი აღარ ჩააგდებინა. სამაგიეროდ, ვაკო ბეჟანიშვილი გაისროდა ხოლმე და ბათუმებელის ქულა-ქულა ნაგროვებ უპირატესობას მინიმუმამდე ამცირებდა. „ბასკოს“ ყველაფერი საათივით ჰქონდა აწყობილი, მხოლოდ „დინამოს“ შორი სროლების ანტივირუსი ესაჭიროებოდა გამარჯვების მოსაპოვებლად და დიდი შესვენების შემდეგ ამასაც მიაგნო.

„ბასკომ“ მესამე მეოთხედიც 6-ქულიანი ლიდერობით დაიწყო, მაგრამ ამ უპირატესობას ქარი წაიღებდა, თუ დინამოელები სამქულიანების წარმატებით სროლას გააგრძელებდნენ. საკმაოდ გაცვეთილი ფრაზაა, საუკეთესო დაცვა თავდასხმაო, მაგრამ ბათუმელთა თამაშს სხვას ვერაფერს უწოდებ. რით ვართ დინამოელ სნაიპერებზე ნაკლებნიო და ზღვისპირელებმაც სამიანების სროლას მიჰყვეს ხელი. ამ საქმეში თავი გამოიდო ირაკლი ბერიშვილმა, რომელმაც ალბათ სეზონის საუკეთესო მატჩი ითამაშა და ბათუმელთა გუშინდელ გამარჯვებაშიც ლომის წილი დაიდო.

ამავდროულად ზღვისპირელები საიმედოდ იცავდნენ საკუთარ პერიმეტრს და განსაკუთრებით ბეჟანიშვილს უფრთხოდნენ.

მალე ბათუმელთა უპირატესობამ 10 ქულას გადააჭარბა და ირაკლი ბერიშვილის მორიგი სროლის შემდეგ გადამწყვეტი მეოთხედის წინ 71:57 გახდა.

ბოლო ათწლეული ახალი დაწყებული იყო, რომ მოედანზე მცირე ინციდენტი მოხდა. ბუბა ბერიშვილთან შელაპარაკებულ ლაშა ლოსაბერიძეს ვალერი კილაძე გამოესარჩლა და ბასკოელთან ერთად დისკვალიფიკაცია დაიმსახურა. კილაძის გავარდნის შემდეგ ცხადი გახდა, რომ „დინამოს“ ფარზე აღარაფერი ესაქმებოდა და მთლიანად სამქულიანებზე გადავიდა, რაც ბათუმელთა გატეხვის იარაღად არ გამოდგა. „ბასკომ“ დარჩენილ დროში მოპოვებული უპირატესობა ჯადევ უფრო გაზარდა.

...მატჩის შემდეგ კი „ბასკო'ს“ ბათუმელმა მოთამაშეებმა ღამის გასათევზე იწყეს ზრუნვა...

ჟოლივეტ ტუჯანის „ბასკომ“ ვალერი კილაძის „დინამო“ ფარქვეშ არ შეუშვა

ფოტო ოლეგ ფალავანდიშვილისა

ფინალური სერიის მეხუთე მატჩი 22 მაისს, 15 საათზე ვერის ბაღში გარამართება

2004 NBA Playoffs



REUTERS მინეაპოლისიდან

კევინ გარნეტის საჩუქარი: მე მინეაპოლისში „ლეიკერსსაც“ ჩამოვიყვან!

სერზე მიდის სამი მგელი

ლეიკერსს მინესოტა გადაეყარა

19 მაისი

დასავლეთი

მინესოტა 4:3 საკრამენტო

მინესოტა 83:80 საკრამენტო

მინესოტა: კასელი (23), ჰასელი (4), სპრიუელი (14), გარნეტი (32 ქულა, 21 მოხსნა, 5 დაფარება), ჯონსონი; შჩერბიაკი (10), ჰოიბერგი, მადსენი, ტრენტი

საკრამენტო: ბიბი (15 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), კრისტი (21), სტოიაკოვიჩი (8), ვებერი (16), დივაცი (7); მილერი (11), ბაფორდი (2), სონგაილა

„საკრამენტოს“ საკმარისი დრო ჰქონდა საბოლოო შეტევის ორგანიზებისთვის, მაგრამ რომელიმე მსროლელის მარტო დატოვება ვერ მოხერხდა და დუგ კრისტიმ მოუხერხებელი პოზიციიდან ესროლა სამქულიანი. ბურთი საერთოდ არ შეხებია რგოლს, მაგრამ ისევ საკრამენტოელს, ბრედ მილერს მიუვიდა. „კინგზის“ 213-სანტიმეტრიანმა ცენტრმა ჩაგდება ფარქვეშიდან მოინდომა, მაგრამ კევინ გარნეტმა ისეთი დაუფარა, ბურთი მაყურებლებში გადაისროლა...

83:80 ანგარიშია: „საკრამენტოს“ კიდევ რჩება მატჩის ხსნისთვის ორ წამზე ცოტა მეტი დრო. კრის ვებერი ახერხებს კევინ გარნეტის ჩამოშორებას და სამქულიანს ესვრის. დრო გადის, ბურთი კალათზე რკალს შემოწერს, შიგნით კი არ ვარდება...

...ზედიზედ მესამე წელია, „საკრამენტო“ სერიის მეშვიდე, გადამწყვეტ მატჩს აგებს, თან სულ სხვადასხვა გუნდებთან: 2002 წელს დასავლეთის ფინალში „მეფეები“ „ლეიკერსთან“ 3:2 იგებდნენ და სერიის მე-6 და მე-7 მატჩები წააგეს, 2003 წელს მეორე წრეში მე-7 მატჩი „დალასს“ დაუთმეს, ახლა კი ამავე ეტაპზე „მინესოტას“ ვერ აჯობებს.

მაგრამ ვიღას ახსოვდა იმ დღეს „საკრამენტო“? თამაშს „მინესოტა“ მასპინძლობდა თავის „ტარჯეტ სენთერში“ და ნერვიულობის 48 წუთის ბოლო წამი რომ ამოიწურა, 20-ათასიანი დარბაზი 40 ათასი ხელის ტყედ იქცა. „ტიმბერვულვზის“ ლიდერი კევინ გარნეტი მსაჯთა მაგიდაზე შეხტა და ბედნიერ მინეაპოლისელებს იქიდან გენერალივით ესალმებოდა. ხალხიც რევოლუციონერი ბელადივით შეეგება მას.

ის დღე ჭეშმარიტად კევინ გარნეტისა იყო. სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ ბოლო მატჩში იმიტომ არ იხვეჭა ქულები, მოხსნები და დაფარებები, რომ ვინმესთვის დაემტკიცებინა, ეს პრიზი შემთხვევით არ შემხვედრიაო. მას უბრალოდ მოგება უნდოდა და ამისთვის იკლავდა თავს. კარგად ითამაშა და ქულების და მოხსნების ჩაწერა დამთვლელთა საქმე იყო.

გარნეტის „მინესოტა“ 15-წლოვან არსებობაში პირველად გავიდა კონფერენციის ფინალში. „მგლები“ მანამდე — ერთხელაც ვთქვათ — ზედიზედ შვიდი წელი პირველი რაუნდიდან ვარდებოდნენ, ასე რომ, ძალიან დიდხანს ელოდნენ ამ სიხარულს. წლეულს „მინესოტამ“ ერთი კი არა, უკვე ორი წრე გაიარა და მესამეში კიდევ უფრო სერიოზული გამოცდა ელის — მაშინ, როცა „მგლები“ პირველ წრეში ჯაჰირობდნენ, ახლა მათი მომდევნო მეტოქე „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ ტიტულს ტიტულზე იხვეჭდა. რომ დავაჯამოთ, ბოლო ხუთ პლეი ოფში „ლეიკერსმა“ 16 სერია გამოიარა (დაახლოებით 90 თამაში) და აქედან 15 მოიგო. „მგლებს“ კი აქტივში მხოლოდ ორი წლევანდელი გამარჯვება აქვთ — 4:1 „დენვერთან“ და 4:3 „საკრამენტოსთან“.

მაგრამ ქომაგებს ალბათ ჯერ არ უნდათ ამ ბურანიდან გამოსვლა. დატკბნენ ერთი-ორი დღე გამარჯვებით, მერე კი ალბათ „ლეიკერსის“ ძლევასაც მოსთხოვენ კევინ გარნეტს, სემ კასელს, ლატრელ სპრიუელსა და კომპანიას.

ძოტე ყორშია

დასავლეთის ფინალი
მინესოტა VS ლეიკერსი

ფორსბერგი არის? არის

შვედები დამშვიდდნენ

26 მაისამდე მსოფლიოს თასის მონაწილე ქვეყნები ნაკრებების სიებს გამოაქვეყნებენ. კანადამ უკვე გვაახლა თავისი ვარსკვლავსია, ახლა კი შვედებმა და გერმანელებმაც მოგვაწოდეს განაცხადები. ცხადია, შვედებს და მით უმეტეს გერმანელებს კანადელებივით მრავალფეროვანი არჩევანი არა აქვთ და მათ განაცხადებში ნჰლ-ს პრაქტიკულად ყველა მოთამაშე მოხვდა.

რაც მთავარია, სკანდინავიელებს შვედი №1, შვედი №2 და შვედი №3 ეყოლებათ. ასე უწოდებენ ამ ქვეყანაში პეტერ ფორსბერგს, მათს სუნდინსა და მარკუს ნესლუნდს. მოგეხსენებათ, ფორსბერგი სამშობლოში დაბრუნებას აპირებს, მაგრამ მსოფლიოს თასს აბა, როგორ გააცდენს.

შვედების სიაში ევროპაში მოთამაშე ორი ჰოკეისტიც მოხვდა — გამოცდილი ვეტერანი იორგენ იონსონი, რომელსაც თავის დროზე ნჰლ-შიც უთამაშია და ევროპის ყველაზე ნიჭიერ მეკარედ მიჩნეული ჰენრიკ ლუნდკვისტი. ხოლო ვერ მოხვდა ორი ცნობილი ნჰლ-ელი — მცველი კენი იუონსონი და ფორვარდი მიქაელ ნიულანდერი, რაც ნამდვილად მოულოდნელია.

შვედები

მეკარეები: ტომი, სალო (კოლორადო), მიქაელ ტელკვისტი (ტორონტო), ჰენრიკ ლუნეკვისტი (ლულეო)

მცველები: ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი), მარკუს რაგნარსონი (ფილადელფია), კიმ იუნსონი (ფილადელფია), მატიას ნორსტრიომი (ლოს ანჯელესი), მატიას ოლუნდი (ვანკუვერი), კრისტიან ბეკმანი (სენტ ლუისი), დანიელ ჩიარნკვისტი (ატლანტა), დიკ ტარნსტრიომი (პიტსბურგი)

ფორვარდები: პეტერ ფორსბერგი (კოლორადო), მათს სუნდინი (ტორონტო), მარკუს ნესლუნდი (ვანკუვერი), დანიელ ალფრედსონი (ოტავა), პერ-იოჰან აქსელსონი (ბოსტონი), მარკუს ნილსონი (კალგარი), ფრედრიკ მოდინა (ტამპა), დანიელ და ჰენრიკ სედინები (ვანკუვერი), ტომას ჰოლმსტრიომი (დეტროიტი), ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი), ნილს ეკმანი (სან ხოსე), ანდრეას იუჰანსონი (ნეშვილი), იორგენ იონსონი (ფერიესტადი)

პლეი ოფი. კონფერენციის ფინალი

მარტოობის 15 წელი

კალგარიმ კანადას ფინალი დაუბრუნა

19 მაისი

დასავლეთი

კალგარი 4:2 სან ხოსე

კალგარი 3:1 სან ხოსე
1:0 1:1 1:0
1:0 იგინლა (19), 2:0 ჟელინა (34), 2:1 მაკოლი (37), 3:1 რეჟე (60)

„კალგარის“ ფორვარდმა მარტინ ჟელინამ ზედიზედ მესამე სერიაში გაამართლა თავისი თიკუნი — The Eliminator, გამგდები. მან ახლაც, ისევე როგორც „დეტროიტთან“ და „ვანკუვერთან“, გადამწყვეტი გოლი გაიტანა, თუმც ამჯერად ეს ნაკლებად დრამატულ პირობებში მოხდა (წინა ორი ოვერტაიმში შეაგდო). მან 34-ე წუთზე კრეიგ კონროის ზუსტი პასის შემდეგ საკმაოდ შორი მანძილიდან დაჰკრა. ამ დროს ევგენი ნაბოკოვს მოთამაშეები ეფარებოდნენ და „სან ხომემ“ მეკარემ შაიბა მაშინღა დაინახა, როცა კარში აღმოჩნდა. ამან საბოლოოდ გატეხა „სან ხოსე“. „ზვიგენებმა“ მერე ერთი გოლი კი გაქვითეს, მაგრამ მეტისთვის ძალა აღარ ეყოთ. კიდევ ერთი გოლი მაინც გაახერხეს, ოღონდ საკუთარ კარში. ეს კურიოზი მატჩის ბოლო წამებზე მოხდა. თამაში რომ გადაერჩინა, „სან ხოსემ“ მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალა. მეტოქის კარს უკან მდგომმა ალექსანდრ კოროლიუკმა შაიბა მეკარის მოედნის ახლოს მდგომ პარტნიორს გადააწოდა, მაგრამ იგი ყველას ასცდა, მთელი ყინული გადაკვეთა და ისევ „სან ხოსეს“ კარში შესრიალდა. გოლი რობინ რეჟეს ჩაეთვალა, რადგან კალგარელთაგან ბოლოს ის შეეხო შაიბას.

მაშ ასე, 15-წლიანი პაუზის შემდეგ „კალგარი“ კვლავ ფინალშია, საერთოდ კანადამ კი 10 წელი იცადა. კანადური გუნდებიდან ფინალში გასვლა ბოლოს 1994 წელს „ვანკუვერმა“ მოახერხა. გუნდისა და ქვეყნისთვის ეს უდიდესი მიღწევაა და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „ალებმა“ ქება ჭეშმარიტად დაიმსახურეს. მარტო ჟელინაში როდია საქმე. გუნდის კაპიტანმა ჯერომ იგინლამ საუცხოოდ ჩაატარა „სან ხოსესთან“ სერია და ამ მატჩშიც მე-10 საპლეიოფო გოლი გაიტანა. მისმა მუდმივმა პარტნიორმა კრეიგ კონროიმაც რამდენიმე გადამწყვეტი შაიბა შეაგდო, ამჯერად კი ორი პასით გამოირჩა. მეკარე მიიკა კიპრუსოფმაც გარდა მეოთხე მატჩისა საუცხოოდ იასპარეზა. საერთოდ, მთელმა გუნდმა ბრწყინვალე ჰოკეი აჩვენა და მეტოქეს სწორედ სულისკვეთებით და ჯიგრით აჯობა.

„ალებმა“ მეექვსე თამაშში შინ მარცხების ტრადიციაც დაარღვიეს. ნურავინ იფიქრებს, რომ „კალგარი“ დასავლეთის მეექვსე ადგილიდან თასის ფინალში შემთხვევით აღმოჩნდა. აქამდე ასეთი გუნდები მუდამ ფინალში მარცხდებოდნენ, ხოლო მომდევნო სეზონს აფლავებდნენ და უფსკრულისკენ მიექანებოდნენ. გვერწმუნეთ, წლეულს აღმოსავლეთის გუნდს — „ტამპა“ იქნება ეს თუ „ფილადელფია“ — ღირსეული მეტოქე ეყოლება.

სამველ ღარიბიანი

REUTERS კალგარიდან

YES! „კალგარი ფლეიმზი“ სტენლის თასის ფინალშია!

საქართველოს მე-14 ჩემპიონატი

ბაფრი ჯეთლაძის ფოტო

შევარდენი ისევ აფრინდა

20 მაისი

სტუ შევარდენი 53:29 საუ მამული

მართვე 29:26 თბილისი

მეთოთხმეტე ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურიღა რჩება. წერტილს დღეს ორი შეხვედრა დასვამს, თუმც ცხრილისთვის ამ თამაშებს აღარანაირი მნიშვნელობა არ ექენებათ. მონაწილე ხუთეული ისე დალაგდა, თუ სასწაული არ მოხდა და აუტსაიდერმა „თბილისმა" „სტუ შევარდენს" არ მოუგო, არაფერი შეიცვლება. ნაადრევად გაჩემპიონებული გუნდი კი ჯერაც, რომ არ დამარცხებულა, ანგარიშზე თვალის შევლებითაც ჩანს.

გუშინ პირველ შეხვედრაში „შევარდენს" რისხვა მეორე ადგილზე დამკვიდრებულ „საუ მამულს" დაატყდა — 53:29. ბომბარდირობისთვის მებრძოლმა მამუკა კობახიძემ 19 გოლი გაიტანა და ჯამში 102 დაუგროვდა. „ქუთაისის" ლიდერ ალეკო ბოყოჩაძემდე ახლა 8 გოლიღა აშორებს და ამ სხვაობის აღმოფხვრას დღეს 14 საათზე „თბილისთან" შეეცდება. თუმც, დღეს ბოყოჩაძეც გაიტანს. თან ქუთაისელს ერთი უპირატესობაც ექნება — მისი თამაში შემდეგ იწყება და ბოყოჩაძეს, ცხადია, ეცოდინება, რამდენი ბურთი გააბომბარდირებს.

„ქუთაისმა" გუშინ დაისვენა, მაგრამ მესამე ადგილის შენარჩუნება მაინც შეძლო და დღესაც რომ წააგოს, პრიზიორადვე დარჩება. მისი დაწევის შანსი „თბილისს" ჰქონდა, მაგრამ მეორე წრის უიღბლო სერია ვერც გუშინ შეწყვიტა. ბოლოადგილოსან „მართვესთანაც" წააგო და ადგილი გაუცვალა.

ეს თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ხშირი იყო აზერბაიჯანელი მსაჯების გადაწყვეტილებით უკმაყოფილება, თუმც ეს უკმაყოფილება ერთ-ორ შეძახილს არ გასცდენია. „მართვემ" მეტოქეს აშკარად აჯობა და უპირატესობა ოთხ ბურთს რომ არ ასცდენია, „თბილისის" მეკარე გონჩაროვის დამსახურებაა. ეს ჭაბუკი თამაშიდან თამაშამდე უმატებს და იქნებ მომავალ ჩემპიონატში საუკეთესოც იყოს. მართველთაგან კი გამორჩეულნი კვერნაძე, ქირია, სიგუა და ტალახაძე იყვნენ. გამარჯვებაში ლომის წილი ამ ოთხეულმა დაიდო.

პირველი ტაიმი ქულა-ქულაში მიდიოდა და 13:13 დასრუდა. მეორის დასაწყისში კი „მართვე" ორბურთიანი სხვაობით გაიჭრა წინ და უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვია. ბოლოს ერთი ფაქტიც, „თბილისის" მოთამაშე მწვრთნელმა ელიზბარ არსენიშვილმა გუშინ სათამაშო კარიერა დაასრულა.

ოთარ მაღლაკელიძე

სატურნირო მდგომარეობა

სტუ შევარდენი	7	7	0	0	322:176	14
საუ მამული	7	4	0	3	209:243	8
ქუთაისი	7	2	1	4	221:256	5
მართვე	8	2	1	5	238:276	5
თბილისი	7	2	0	5	182:221	4

giro d'italia

ჯიროს დიტალია 2004. 8-30 მაისი

ერთი ბიჭი მარტო გარბოდა ასე დაიბადა პანტანი

ეს გამორჩეული ეტაპი იყო. ჯიროს ქარავანს ლეგენდარული მარკო პანტანის მშობლიურ მხარეში უნდა გაევლო 228 კილომეტრი და ჩასულიყო ჩეზენაში. პანტანი კი დაიბადა ჩეზენას მახლობელ სოფელ ჩეზენატიკოში და კოკაინის გადამეტებული ყნოსვის შემდეგ სულ ორიოდ თვის წინ გარდაცვლილიც იქ დაკრძალეს.

80 ათასი კაცი მოგროვდა ამ სოფლის შორიახლო გამავალ ჯიროს მარშრუტის პირად. ამ ხალხმა, ვინ იცის, იქნებ ახალი პანტანის დაბადება იხილა.

პანტანის თავზახელაღებული შეტევა უყვარდა, დაადებდა თავს და მარტოდმარტო გარბოდა ათეულ-კილომეტრიან აღმართზე. ბევრი გიჟს ეძახდა. უფრო სიმპატიურად განწყობილებმა, „მეკობრე" შეარქვეს. ასე თუ ისე, პანტანი ურთულეს ეტაპებს და მთლიანად რბოლებს თითქმის მარტო იგებდა 1998 წელს ჯიროც მოიგო და შემდეგ ტურ დე ფრანსიც. ბევრს აღიზიანებდა, ბევრიც ვაჟკაცად თვლიდა...

ახლა ერთი ბიჭი გამოხტა, ემანუელე სელა, 23 წლისა და, რა თქმა უნდა, იტალიელი. პროფესიონალებში წელს გადავიდა და, ჰა-ჰა, თავის გუნდში თუ იცნობდნენ. სანამ გზა ადრიატიკის სანაპაროზე, სრულიად გლუვ რელიეფზე მიდიოდა, ეს ბიჭი ერთ-ერთი თავი იყო ასთავიან ბრბოში. დაახლოებით 140 კილომეტრის უდრტვინველად გავლის შემდეგ გზამ ზღვისპირიდან სან მარინოს მთიანეთში გადაუხვია და სელაც მოიერიშე ჯგუფს მიჰყვა. ვინ მიაქცევდა ყურადღებას, დიდებმა ჰელოტონისთვის ნახევარიოდ წუთის მოგება განიზრახეს და ესეც გაყვაო — ფიქრობდნენ და ამბობდნენ — ბევრი გვინახავს ეგრე გაყოლილი და ბევრიც შემდეგ არაქათგამოცლილი და შუა გაზაზე დავარდნილიო. მოიერეშეებმა სან მარინოს 5-კილომეტრიანი ისე-რა აღმართი რომ აათავეს და ზღვის დონიდან ჯერ 562 და შუალედური მცირე დაღმართის შემდეგ 645 მეტრამდე რომ ავიდნენ, ეს ბიჭი ისევ უკან მიჰყვებოდა და გულისყრის ნიშნებსაც არ ამჟღავნებდა. აღმართს გრძელი დაღმართი მოჰყვა, შემდეგ ისევ

გადარეული ხალხი უფრო გადარეულ ემანუელე სელას ამხნევებს

წვრილგორაკები. მოწინავენი პანტანის მხარეებს მიუახლოვდნენ, ხალხმა იმატა — უმრავლესობას მისი ყვითელი მაისური ეცვა... ხალხი მოიერიშეებში ლიდერს ეძებდა.

სელამ დაახლოებით 180-ე კილომეტრიდან შეუტია, როცა ფინიშამდე მთელი 45 კილომეტრი რჩებოდა. ოღონდ ამ ბიჭის შეტევა არ ჰგავდა ერთწუთიან სარეკლამო ფაფხურს, როცა ყველა გუნდის მავან მრბოლს ევალება, დროებით წინ გაიჭრას, რათა კამერებმა მის მაისურზე წაწერილი რეკლამა გამოაჩინონ. ეს ბიჭი თამამად და თავხედურადაც კი უტევდა, წინ მთელი საათის გზა რჩება და ეს ტუტუცი მარტოდმარტო გარბისო, ერთი-ორ კილომეტრში დაიღლება და დავეწევითო. რა თქმა უნდა, დაიღალა, მარტომ გადაიარა ამდენი აღმართი, მაგრამ არ ნებდებოდა და მთელ თავის ენერგიას ფეხებში აგზავნიდა. ხალხი მთელ გზაზე ისე ამხნევებდა, როგორც პანტანის, იქნება ეს ბიჭი პანტანია? კისერზე წყალს ასხამდნენ, ზურგში ხელს კრავდნენ და ისიც მიდიოდა და თან თავის თავს ებრძოდა. გაუძლო და მარტოდმარტო მივიდა ფინიშზე, მთელი 30 წამი მოუგო ყველაზე ახლო მდევარ 6-მრბოლიან ჯგუფს, ხოლო რბოლის ლიდერ დამიანო კუნეგოს 49 წამი აართვა.

არავინ იცის, რა მოხდება ამის შემდეგ. შესახლოა, ამ საშინელი რბოლის შემდეგ მას იმის ძალაც აღარ შერჩეს, პელოტონს მოსწყდეს და მთელი დარჩენილი ეტაპები მრბოლთა გროვაში ჩაიკარგოს. უფრო ასეც იქნება, რადგან ასეთი რაიმეს გამეორება 23 წლის ბიჭისთვის, რომელიც ერთი წელია დახუთული ტრეკიდან ნამდვილ გზაზე გამოვიდა, მთელი წრის განმავლობაში თითქმის შეუძლებელია. მაგრამ შესახლოა ეს სიგნალიც იყოს ველოსიპედების სამყაროსთვის. ასე იბადებიან ვარსკვლავები. ალბათ, 10-12 წლის წინ მარკო პანტანიც ასე დაიბადა.

ირაკლი ფირაუზვილი

მე-11 ეტაპი. 20 მაისი. პორტო სანტ ელპიდიო — ჩეზენა. 228 კმ

1 ემანუელე სელა (იტალია) კერამიჩე პანარია	5 სთ, 19 წთ, 08 წმ
9 დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო	+49
14 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო	იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო	50 სთ, 43 წთ, 29 წმ
2 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო	+10 წმ
10 ემანუელე სელა (იტალია) კერამიჩე პანარია	+1 წთ, 25 წმ



მარკ ფილიპუსისის ავსტრალიამ ჰოლანდიას 3:0 აჯობა

მსოფლიო თასი

დიუსელდორფი. თიხნარი. საპრიზო 2,1 მილიონი €

ლურჯი ჯგუფი

ავსტრალია 3:0 ჰოლანდია

ლეიტონ ჰიუიტი — მარტინ ფერკერკი 1:6, 7:6 (7:2), 7:5
მარკ ფილიპუსისი — სხენგ შალკენი 4:6, 7:6 (7:5), 7:5
უეინ ართურსი, პოლ ჰენლი — ფერკერკი, იონ ვან ლოტუმი 6:4, 7:6 (7:5)

არგენტინა 2:1 აშშ

ხუან იგნასიო ჩილა — ვინსენტ სპადია 6:3, 3:6, 6:4
მარიანო საბალეტა — რობი ჯინეპრი 6:7 (5:7), 6:3, 7:5
გასტონ გაუდიო, ლუკას არნოლდი — ბობ ბრაიანი, მაიკ ბრაიანი 7:5, 1:6, 3:6

ავსტრალიამ და არგენტინამ იმ დღეს თავიანთი მეორ-მეორე გამარჯვებები მოიპოვეს და დღეს ერთმანეთს საფინალო საგზურს შეეცილებიან. მათ შორის მოგებული კი შაბათს ან შარშანდელ ჩემპიონ ჩილეს შეხვდება, ანაც გერმანიას — ამათ მეორე, წითელი ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობა ერთმანეთში გუშინ უნდა გაერკვიათ.

როგორც ანგარიშებიდანვე დაატყობდით, ავსტრალიელებმა ჰოლანდიელებს მშრალზე აჯობეს, თანაც ისე, რომ ორივე მათმა ყოჩმა პირველი წაგებული სეტის შემდეგ ამოქაჩვა შეძლო. არგენტინელებმა კი ამერიკელებს ერთი მატჩი დაუთმეს, თუმცა იმ მომენტისთვის მატჩი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო — ჩილას სპადიასთვის მოეგო, საბალეტას კი ჯინეპრისთვის.



REUTERS ეკატერინა ბიბლიოთეკიდან

ჯორდანი კედელზე

ჩინეთში მყოფმა მაიკლ ჯორდანმა სახალხო გამოსვლა ვერ მოახერხა პეკინის ერთ-ერთი ეზოს მოედანზე ხალხის მოზღვავების გამო, მაგრამ ჩინურ კედელზე გავლა კი შეძლო. ჩინეთში ახლა კალათბურთის ბუმია და სახელმწიფო პროგრამაც ამოქმედდა.

სალივერპულო ფული

ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა რომ „ლივერპულის“ აქციების 30 პროცენტი იყიდა, არ დაახანა და თავის ქვეყანაში ლატარიაც გამოუშვა, რათა ამ საქმისთვის ფული უკეთ მოაგროვოს. სულ 20 მილიონი ლატარიის ბილეთია დაბეჭდილი და თითო ბარე 25 დოლარი ღირს.

REUTERS ბანგკოკიდან

გამსნელი

მეხიკო სიტიში ახალი საავადმყოფო გაიხსნა და ლენტის გაჭრაზე პოპულარული მექსიკელი მორბენალი ანა გუვარა (შუაში) მიუწვევიათ. გუვარა მსოფლიოს ჩემპიონია 400 მეტრზე რბენაში და ოლიმპიადაზეც ტიტულისთვის ბრძოლას აპირებს.

REUTERS მეხიკოდან

ახალი სამოსი

ოთხი ოლიმპიადის მონაწილე ნიჩბოსანი მარგარეტ ლენგფორდი კანადის ოლიმპიური გუნდის ახალ ფორმას წარუდგენს მედიას ვანკუვერის დიდ სპორტულ მაღაზიაში. ახალი სამოსი „რუთსის“ კომპანიის შეკერილია. იგივე კომპანია უმზადებს სამოსს ბრიტანელებს, ამერიკელებს და ბარბადოსელებს. დიუსელდორფში კი ოლიმპიური სამოსით თავს იწონებს გერმანიის გუნდი: მოცურავე კრისტიან კელერი და სიგრძეზე მხტომელი ჰაიკე დრექსლერი გამოსასვლელ კოსტუმებს წარმოადგენენ, მორბენალი ინგობულტი კი — სპორტულს.

REUTERS ვანკუვერიდან

REUTERS დიუსელდორფიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge